



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი კეკელიშვილი

15 დეკემბერი 2020 წელი

N 38/36

ეგზ.: N1

საჯარო სექტორში ინვენტარიზაციის
პროცესის სისტემური
შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	3
	შემაჯამებელი მიმოხილვა	4
	რეკომენდაციები	9
	შესავალი	13
	აუდიტის მოტივაცია	13
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	13
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	14
	აუდიტის საგანი	14
	აუდიტის მასშტაბი	15
	აუდიტის კრიტერიუმები	15
	აუდიტის მიზანი	16
	აუდიტის მეთოდოლოგია	16
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	17
	აუდიტის მიგნებები	17
	დანართები	43
	საკონტაქტო ინფორმაცია	46
დანართები		

ტერმინები და შემოკლებები

განათლების სამინისტრო - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

ეკონომიკის სამინისტრო - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

ფინანსთა სამინისტრო - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

მომსახურების სააგენტო - სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა - საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა.

ქონების სააგენტო - სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

აკადემია - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია.

ხელოვნების სასახლე - სსიპ - საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი, ხელოვნების სასახლე.

რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი - შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“.

სამშენებლო კომპანია - შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“.

ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია - შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“.

თბილსერვის ჯგუფი - შპს „თბილსერვის ჯგუფი“.

სახელმწიფო კომპანიები - სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კომპანიები.

სპეციფიკური აქტივები - აქტივები, რომელთა აღრიცხვის და ინვენტარიზაციის პროცესი რეგულირდება შიდა წესებით.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საჯარო სექტორში ინვენტარიზაციის პროცესის სისტემური შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის ობიექტებად განისაზღვრა:

-)/ სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო;
-)/ საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა;
-)/ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო;
-)/ სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია;
-)/ სსიპ - საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი - ხელოვნების სასახლე;
-)/ შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“;
-)/ შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“;
-)/ შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“;
-)/ შპს „თბილისერვის ჯგუფი“.

აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში სახელმწიფო ქონების შესახებ კანონში შევიდა ცვლილება,¹ რომლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო გაერთიანდა.

ქონების სააგენტოს გადაეცა მომსახურების სააგენტოს ფუნქცია-მოვალეობები და ჩაითვალა მის უფლებამონაცვლედ. შესაბამისად, მომსახურების სააგენტოზე გაცემული რეკომენდაციების შესრულებასაც უზრუნველყოფს ქონების სააგენტო.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

შემოწმებული 9 ორგანიზაციიდან 8-ში² გამოვლინდა, რომ:

-)/ სრულყოფილად არ არის დანერგილი არაფინანსური აქტივების მართვის ელექტრონული პროგრამა;
-)/ არაფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაციები აღირიცხება სხვადასხვა არასისტემატიზებული საშუალებით,³ რაც ვერ უზრუნველყოფს სწრაფი და ზუსტი მმართველობითი ანგარიშების გენერირებას;
-)/ რეგისტრებში აქტივების შესახებ ინფორმაციები არასრულყოფილია;
-)/ არ არის განსაზღვრული ინფორმაციის შეკრებასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირები;
-)/ არ არის შემუშავებული ინფორმაციაზე წვდომის და დაშვების პოლიტიკები;
-)/ არ არის დანერგილი ერთიანი მიდგომა არაფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვასთან დაკავშირებით, ორგანიზაციები ერთგვაროვან აქტივებთან დაკავშირებით აღრიცხავენ და წარმოადგენენ განსხვავებულ ინფორმაციებს.

არაფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვის არსებული მიდგომები სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს აქტივების შესახებ სრული და

არაფინანსური აქტივების და საწყობის მართვის ნაკლოვანებები

¹ N5989-IIIს 29.05.2020.

² გარდა თბილისერვის ჯგუფისა.

³ აღრიცხვა წარმოებს ქაღალდზე ან ელექტრონულ ცხრილებში, რომლებიც არ არის თანხვედრაში საბუღალტრო მონაცემებთან.

ინვენტარიზაციის პროცესის ნაკლოვანებები

ოპერატიული ანგარიშების წარმოდგენას, არაფინანსური აქტივები და მათ შესახებ ინფორმაციები არ არის დაცული დაკარგვისა და დაზიანებისაგან, შედეგად, რთულდება სწრაფი და ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და ინვენტარიზაციის განხორციელების პროცესი.

სახელმწიფო კომპანიებში ინვენტარიზაციის პროცესის ხარვეზები

სახელმწიფო კომპანიებში ინვენტარიზაციის ჩატარების პროცესზე საზედამხედველო კონტროლი არ არის ეფექტური, არ არის დადგენილი სახელმწიფო კომპანიების მიერ ზემდგომი ორგანოსათვის (პარტნიორისათვის) ინვენტარიზაციის მასალების, გამოუყენებელ და ჩამოსაწერ ქონებებზე ინფორმაციის წარდგენის ვადები, შედეგად, იზრდება აქტივების არაეკონომიურად, არამიზნობრივად და არაეფექტურად გამოყენების რისკი.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ნაკლებობა ინვენტარიზაციის პროცესში

შემოწმებული 9 ორგანიზაციიდან, 2019 წელს ინვენტარიზაცია ჩატარდა 5 ორგანიზაციაში. 3 ორგანიზაციაში საინვენტარო აღწერები ტარდება მანუალურად და არ არის გამოყენებული საინვენტარო აღწერის ელექტრონული საშუალებები, შტრიხკოდის წამკითხველები (სკანერები), რაც იწვევს ინვენტარიზაციის პროცესის დროში გაჭიანურებას, დამატებით ხარჯებს და შეცდომით ან თაღლითობით დაშვებულ უზუსტობის რისკებს.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ნაკლოვანებები

შემოწმებული ორგანიზაციების უმეტესობის მიერ, ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ინვენტარიზაციისას არ ხორციელდება ანაზღაურების შესაძლებლობისა და ზუსტი ნაშთის დადგენა. შედეგად წარმოიშობა რისკი, რომ ფინანსური ანგარიშგება შეიცავდეს არსებითი ხასიათის უზუსტობებს, ასევე შესაძლოა შეფერხდეს დებიტორული დავალიანებების ანაზღაურების პროცესი.

საგადასახადო ვალდებულებების ინვენტარიზაციის ხარვეზები

ეროვნულ ბიბლიოთეკას არ შეუფასებია საგადასახადო ვალდებულებების ხანდაზმულობის საკითხი, არ მოუპოვებია ინფორმაციები და არ მიუღია გადაწყვეტილება ასეთი დავალიანებების ჩამოწერაზე ან/და მისი დაფარვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე. შესაბამისად, არ არის შესრულებული კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და არის რისკი, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ვალდებულებები გაზრდილად იყოს წარმოდგენილი.

საბიუჯეტო ორგანიზაციებში საინვენტარიზაციო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

საბიუჯეტო ორგანიზაციებში ინვენტარიზაციის პროცესში ნორმატიული დოკუმენტით დადგენილი ფორმები ვერ პასუხობს ინვენტარიზაციით მისაღწევ მთავარ მიზნებს,⁴ კერძოდ, ვერ უზრუნველყოფს აქტივების მდგომარეობის,

⁴ იხ. N1 დანართი.

გამოყენების, შენახვის და გაუფასურების საკითხების შეფასებას, დოკუმენტირებას და საჭიროებს დახვეწას.

გამოუყენებელი და ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარი აქტივების იდენტიფიცირება და შემდგომი განკარგვა

ორგანიზაციებში სათანადოდ არ ხორციელდება გამოუყენებელი და ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარი აქტივების იდენტიფიცირება და ზემდგომ ორგანოსთან ერთად შემდგომი განკარგვის ღონისძიებების გატარება, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს მისაღებ შემოსავლებზე.

სპეციფიკური აქტივების აღრიცხვა და ინვენტარიზაციის ნაკლოვანებები

შესწავლილი 9 ორგანიზაციიდან 5 ფლობს და აკონტროლებს სპეციფიკურ აქტივებს,⁵ რომელთა აღრიცხვის და ინვენტარიზაციის პროცესი რეგულირდება შიდა წესებით და ხარვეზებით ხასიათდება, ასეთი აქტივებია:

-)/ საბიბლიოთეკო ფონდები;
-)/ სამუზეუმო ფასეულობები;
-)/ მიქცეული და განსაკარგავად გადაცემული ქონებები;
-)/ სახელმწიფო მიწები და შენობები;
-)/ სახელმწიფო კომპანიებში არსებული წილები;
-)/ სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან და იჯარით გაცემიდან წარმოქმნილი მოთხოვნები, მათ შორის დარიცხული პირგასამტეხლოები.

აუდიტის ობიექტების მფლობელობასა და საკუთრებაში არსებული სპეციფიკური აქტივების აღრიცხვის და ინვენტარიზაციის პროცესები ხასიათდებოდა შემდეგი ნაკლოვანებებით:

საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვის ნაკლოვანებები

-)/ საბიბლიოთეკო ფონდების შესახებ ელექტრონული მონაცემები არასრულყოფილია, ხოლო ინვენტარიზაციის პროცესი არ არის ფორმალიზებული, არ გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები და საბიბლიოთეკო ფონდების შედგენის სამართლებრივი ბაზა საჭიროებს განახლებას. შედეგად, ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და მკითხველი მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს სრულყოფილი და ოპერატიული ინფორმაცია ფონდებში რიცხული აქტივების, მათი მიღების, გასვლის და გადაადგილების შესახებ;
-)/ ეროვნული ბიბლიოთეკის ბუღალტრულ ანგარიშებში, საბიბლიოთეკო ფონდების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია სინთეზურად, ნაცვლად ანალიზურისა, ამიტომ ვერ ხერხდება აქტივების იდენტიფიცირება და შეუძლებელია კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში ინვენტარიზაციის პროცედურების დაგეგმვა და ჩატარება;
-)/ ვინაიდან ეროვნულ ბიბლიოთეკაში არ არის შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც მოცემული იქნებოდა არსებული ფონდების შესახებ ინფორმაცია, განუსაზღვრელია ინვენტარიზაციის

⁵ იხ. N2 დანართი.

ჩატარების პერიოდულობა და ინვენტარიზაციას დაქვემდებარებული აქტივების მოცულობა;

ინვენტარიზაციის ბრძანებით არ არის განსაზღვრული თუ რომელ ფონდს განყოფილებას ან შესაბამისი ფორმატის წიგნს უნდა ჩაუტარდეს ინვენტარიზაცია. არ არის შემუშავებული და გაწერილი ინვენტარიზაციის ჩატარების ტექნიკური საკითხები. გაურკვეველია თუ რა მეთოდის გამოყენებით ხდება კომისიის მიერ შესაბამისი ობიექტის შერჩევა და პროცედურების განხორციელება.

სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და ინვენტარიზაციის ხარვეზები

გამოვლინდა, რომ არ არის უზრუნველყოფილი სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და მართვის მოქნილი, ერთიანი ცენტრალიზებული სისტემა, რაც ხელს უშლის სამუზეუმო ექსპონატების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, შენახვას და პოპულარიზაციას, ართულებს ინვენტარიზაციის პროცესს და ზრდის სამუზეუმო ფასეულობათა დაკარგვის და უკანონო გამოყენების რისკებს;

ხელოვნების სასახლეში, 2009 წელს დაწყებული⁶ ინვენტარიზაციის შედეგად, სამინისტროს⁷ თანხმობით, ჩამოიწერა ადრეულ პერიოდში⁸ დანაკლისად აღიარებული და დაზიანებული ნივთები.⁹ მოქმედი ინსტრუქციით, დანაკლისის აღმოჩენის შემთხვევაში, ინფორმაცია წარედგინება სამინისტროს,¹⁰ თუმცა, ამავე ინსტრუქციაში არ არის გათვალისწინებული დანაკლისებთან დაკავშირებით სამართალდამცავ ორგანოთა მიმართვის საკითხი. შესაბამისად, ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგებზე რეაგირების მიზნით გატარებული ღონისძიებები სრულყოფილად არ განხორციელებულა;

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სამხატვრო აკადემიაში საინვენტარო წიგნებში აღწერილია და ინფორმაცია დამუშავებულია მხოლოდ 625 ექსპონატის შესახებ. შედეგად, სამხატვრო აკადემია სრულად არ ფლობს ინფორმაციას მის საკუთრებაში არსებული ექსპონატების შესახებ, რაც ზრდის მათი დაკარგვის ან უკანონო გამოყენების რისკებს.

მიქცეული და განსაკარგავად გადაცემული ქონების ინვენტარიზაციის ხარვეზები

მიქცეული და განსაკარგავად გადმოცემული ქონების ინვენტარიზაციის ჩატარების პერიოდულობა, მომსახურების სააგენტოს¹¹ მიერ სამ წელიწადში ერთხელ არის განსაზღვრული, რაც საჯარო სექტორისთვის განსაზღვრულ 1 წლიან ვადას, მნიშვნელოვნად აღემატება და ვერ უზრუნველყოფს მყისიერ კონტროლს აქტივების დაცულობაზე. ასევე, ბრძანებით არ არის განსაზღვრული ინვენტარიზაციის ჩატარების ტექნიკური საკითხები და გასაფორმებელი დოკუმენტაცია. შესაბამისად, მომსახურების სააგენტოში ინვენტარიზაციის პროცესი არ არის სისტემატიზებული.

⁶ მიღებული განმარტებით, ინვენტარიზაცია დაიწყო ახალი ხელმძღვანელობის ინიციატივით, რაც მანამდე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჩატარებული არ ყოფილა.

⁷ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

⁸ მათ შორის, 20-30 წლის უკან და უფრო ადრე, საბჭოთა პერიოდის დროს.

⁹ ძირითადად წიგნები, ფოტოები, დისკები, ფირფიტები, ხელნაწერები და ქანდაკებები.

¹⁰ „სამუზეუმო ექსპონატების აღრიცხვისა და დაცვის შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი.

¹¹ მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 5 მარტის ბრძანება N555.

ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარსადგენი ინფორმაციის ნაკლოვანებები

- სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის ბალანსზე ირიცხება მშენებლობები სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, რომელთა ბალანსიდან ჩამოწერა და შესაბამისი მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემა ჯერ კიდევ დაუსრულებელია;
- სახელმწიფო მიწების და შენობების აღრიცხვა ქონების ეროვნულ სააგენტოში არ ხორციელდება, შესაბამისად, აღნიშნულ ქონებებს არ უტარდებათ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში ინვენტარიზაცია;
- ქონების სააგენტოს მიერ სრულყოფილად არ არის აღრიცხული სახელმწიფო კომპანიებში არსებული წილები. ასევე არ განხორციელებულა ინვენტარიზაცია;
- ქონების სააგენტოში სახელმწიფო ქონებების პრივატიზებიდან და იჯარის გაცემიდან წარმოქმნილი ფინანსური აქტივები, მათ შორის, დარიცხული პირგასამტეხლოები სრულყოფილად აღრიცხული არ არის.

ყველა ზემოთ აღწერილი საკითხი მოწმობს, რომ სახელმწიფოს ნაერთი ფინანსური ანგარიშგება ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის სამართლიან წარდგენას, ვინაიდან არსებითი ოდენობის აქტივი და ვალდებულება, საჭიროებს ზუსტ და დროულ აღრიცხვას.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნამუშევარი დროის და გადაადგილების აღრიცხვის კონტროლის სისუსტეები

სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიაში GPS მონიტორინგის პროცესი არ იძლევა საწარმოს საკუთრებაში არსებული ტექნიკის გამოყენების სრულყოფილი ანალიზის საშუალებას, ხოლო ანგარიშგების არსებული წესები სრულად ვერ უზრუნველყოფს ტექნიკა-იმპლემენტების არასათანადო გამოყენების ფაქტების გამოვლენას.

მედიკამენტების და სხვა მარაგების ინვენტარიზაციის ნაკლოვანებები

რეგიონული ჯანდაცვის ცენტრში მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიერ, აქტივების აღწერა და ყოველთვიური ანგარიშების წარმოდგენა ხასიათდება საიმედოობის დაბალი დონით და ვერ უზრუნველყოფს აქტივების ზუსტი ნაშთის და არსებობის დადასტურებისათვის სათანადო კონტროლს.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს:

საჯარო სექტორში არაფინანსური აქტივების აღრიცხვის ერთიანი მიდგომის ჩამოსაყალიბებლად, ბიუჯეტის ოპტიმალური დაგეგმვის, ინვენტარიზაციის პროცესის გაუმჯობესების და არაფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაციაზე შეუფერხებელი წვდომის მიზნით, ფინანსთა სამინისტრომ იმსჯელოს აქტივების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვაზე. მიზანშეწონილია, აღნიშნულ სისტემაში ინფორმაციის განთავსების საშუალება ჰქონდეთ სახელმწიფო კომპანიებსაც.

რეკომენდაცია N2

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს:

სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტების მხრიდან კომპანიებზე კონტროლის გაძლიერების, აქტივების და ვალდებულებების ეფექტური მართვისა და გამოყენებისათვის, მიზანშეწონილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მჭიდრო კოორდინაციით, საჯარო სექტორის ერთეულებისათვის დადგინდეს ინვენტარიზაციის ჩატარების ერთიანი წესი და განისაზღვროს ზემდგომი ორგანოსათვის ინფორმაციის წარდგენის პერიოდულობა. მიზანშეწონილია იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც ფლობენ სპეციფიკურ აქტივებს შეიმუშაონ ინვენტარიზაციის შიდა ინსტრუქციები, სადაც გაწერილი იქნება ინვენტარიზაციის ჩატარების ტექნიკური საკითხები.

რეკომენდაცია N3

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს:

საჯარო სექტორში ინვენტარიზაციის ჩატარების ერთიანი პრაქტიკის დამკვიდრების, ინვენტარიზაციის პროცესის გამარტივების, შრომითი დანახარჯის, შეცდომის ან თაღლითობით გამოწვეული უზუსტობის რისკის შესამცირებლად, მიზანშეწონილია ფინანსთა სამინისტრომ საჯარო სექტორში დანერგოს საინვენტარო აღწერის ელექტრონული საშუალებები.

რეკომენდაცია N4

ყველა შემოწმებულ ორგანიზაციას:

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი წარდგენის მიზნით და დებიტორული დავალიანებების ანაზღაურების პროცესის დროული წარმართვისათვის, ყოველი საანგარიშგებო წლის დასრულებისას, ორგანიზაციებმა მოქმედი კანონმდებლობის და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, შეაფასონ აქტივების ამოღების და ვალდებულებების დაფარვის ალბათობა და იმსჯელონ ჩამოწერის ან ფინანსურ ანგარიშგებაში მათი ასახვის შესახებ.

რეკომენდაცია N5

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას:

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, ეროვნულმა ბიბლიოთეკამ შრომის ანაზღაურების მუხლთან დაკავშირებულ საგადასახადო ვალდებულებებზე ჩაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები და შეაფასოს აღნიშნული ვალდებულებების რეალობა და არსებობა. მიზანშეწონილია საქართველოს პარლამენტთან და ფინანსთა სამინისტროსთან ერთად დადგინდეს პირადი აღრიცხვის ბარათზე, სოციალური

გადასახადის მუხლში დარიცხული საგადასახადო დავალიანების გადახდის ან ჩამოწერის საკითხი.

რეკომენდაცია N6

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს:

საბიუჯეტო ორგანიზაციებში ინვენტარიზაციის პროცესის გამარტივებისა და ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბების მიზნით, ფინანსთა სამინისტრომ განაახლოს შესაბამისი ნორმატიული აქტები, მათ შორის, საინვენტარიზაციო კომისიის მიერ არაფინანსური აქტივების, ფინანსური აქტივების და ვალდებულებების საინვენტარიზაციო აღწერის და ჩამოწერის ფორმები.

რეკომენდაცია N7

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიას“, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრს“ და შპს „თბილსერვის ჯგუფს“

რეგიონული ჯანდაცვის ცენტრმა, სახელმწიფო სამშენებლო კომპანიამ და თბილსერვის ჯგუფმა, მათ მფლობელობაში არსებული არაფინანსური აქტივების ეფექტური განკარგვის და დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით, მოახდინონ გამოუყენებელი და ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი აქტივების იდენტიფიცირება და ზემდგომ ორგანოსთან ერთად იმსჯელონ მათი შემდგომი განკარგვის (გაყიდვა, გადაცემა, ჩამოწერა) ღონისძიებების შესახებ.

რეკომენდაცია N8

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიას“

„სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიამ“ მომავალ პერიოდში ბიუჯეტის სწორი დაგეგმვის, დამატებითი შემოსავლის მიღების და პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისათვის მიზანშეწონილია შეიმუშაოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გასხვისების განახლებული კრიტერიუმები და განსაზღვროს რა ტექნიკის რეალიზაცია განხორციელდება წლების მიხედვით.

რეკომენდაცია N9

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას:

ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების/ჟურნალების და სხვა აქტივების ეფექტური მართვისა და ასევე მკითხველებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ეროვნულმა ბიბლიოთეკამ შეიმუშაოს არსებული საბიბლიოთეკო ფონდების ელექტრონულ პროგრამაში შეყვანის/აღრიცხვის გეგმა. მიზანშეწონილია ასევე აღრიცხვის ინსტრუქციაში საბიბლიოთეკო ფონდების ელექტრონული აღრიცხვის ტექნიკური საკითხების გათვალისწინება.

რეკომენდაცია N10

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას:

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის და ინვენტარიზაციის გამარტივების მიზნით, ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ბუღალტრულად აღრიცხოს მის მფლობელობაში არსებული საბიბლიოთეკო ფონდები, მიზანშეწონილია თანხობრივად უკვე აღრიცხული აქტივების ანალიზური აღრიცხვა და იდენტიფიცირება.

რეკომენდაცია N11

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას:

ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ფონდებში აღრიცხული აქტივების ზუსტი ნაშთის, არსებობის დადასტურებისა და ინვენტარიზაციის პროცესის რეგულირებისათვის შეიმუშაოს და დაამტკიცოს წესი, სადაც განისაზღვრება რა სახის ფონდებს ფლობს ორგანიზაცია. მიზანშეწონილია ერთმანეთთან შესაბამისობაში იყოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული და საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული ინვენტარიზაციის ვადები.

რეკომენდაცია N12

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას:

საბიბლიოთეკო ფონდებში არსებული აქტივების რეალური ნაშთების დადგენის მიზნით, ეროვნულმა ბიბლიოთეკამ საინვენტარიზაციო კომისიისათვის შეიმუშაოს ინვენტარიზაციის ჩატარების გეგმა, სადაც გაწერილი იქნება ინვენტარიზაციის ჩატარების და შედეგების წარმოდგენის ვადები. აღნიშნული გეგმა თანხვედრაში უნდა იყოს აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრულ ვადებთან.

რეკომენდაცია N13

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს:

სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვის, ფონდებში განხორციელებული ცვლილებების და გადაადგილებების ასახვის, ასევე საზოგადოებისათვის ფონდებში დაცული ექსპონატების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ შეიმუშაოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში ფასეულობათა აღრიცხვის წესი, სისტემაში მონაცემთა შეტანის გეგმა, შესაბამისი ორგანიზაციების, რაოდენობებისა და ვადების მითითებით, ასევე დაადგინოს სისტემაში არსებული ინფორმაციის გასაჯაროების ვადები.

რეკომენდაცია N14

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ხელოვნების სასახლეს:

სამუზეუმო ექსპონატების დაცვის და ეფექტური კონტროლის მექანიზმების ჩამოყალიბების მიზნით, მიზანშეწონილია შემუშავდეს ერთიანი სტანდარტი ინვენტარიზაციის ჩატარების პერიოდულობასთან დაკავშირებით, არსებული ჩანაწერი დაზუსტდეს და ინვენტარიზაციის ჩატარების ვადები გაიწეროს ფონდების მიხედვით, ასევე დაკონკრეტდეს დანაკლისებთან დაკავშირებით მხარეთა მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები. ხელოვნების სასახლემ შეიმუშაოს და დაამტკიცოს წესი, სადაც განისაზღვრება რა სახის ფონდებს ფლობს ორგანიზაცია.

რეკომენდაცია N15

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას

სამუზეუმო ფასეულობათა სახელმწიფო აღრიცხვისა და საზოგადოებისათვის აკადემიაში დაცული სამუზეუმო ექსპონატების შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდების მიზნით, მიზანშეწონილია აკადემიის ხელმძღვანელობამ საინვენტარო წიგნებში/ელექტრონულ ბაზაში ასახოს მონაცემები მფლობელობაში არსებული სამუზეუმო ექსპონატების შესახებ, ასევე

მიზანშეწონილია შემუშავდეს მონაცემთა შეტანის და ინვენტარიზაციის ჩატარების გეგმები და ვადები.

რეკომენდაცია N16

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს:

მიქცეული და განსაკარგავად გადაცემული ქონების დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია მიქცეული და განსაკარგავად გადაცემული აქტივების კატეგორიზაცია. მაღალი ღირებულების, საწყობს გარეთ განთავსებულ აქტივებს და მაღალი რისკის შემცველ აქტივებს ჩაუტარდეს ინვენტარიზაცია ყოველწლიურად/უფრო ხშირი პერიოდულობით, ხოლო დანარჩენ აქტივებზე, დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, შემუშავდეს ინსტრუქცია და ყოველწლიურად ჩატარდეს შერჩევითი ინვენტარიზაცია. მიზანშეწონილია ფინანსთა მინისტრის ბრძანებასა და შიდა ინსტრუქციაში არსებული შეუსაბამოების აღმოფხვრა.

რეკომენდაცია N17

საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებს:

სახელმწიფოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია შემუშავდეს მოთხოვნების და პირგასამტეხლობის, სახელმწიფო ქონების და სახელმწიფო კომპანიებში განხორციელებული არაფულადი შენატანების სააღრიცხვო პოლიტიკა, განისაზღვროს სახელმწიფო ქონების შეფასების საკითხები და ჩატარდეს აქტივების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. საჭიროა დადგინდეს უწყებები, სადაც მიღებული შედეგები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება.

რეკომენდაცია N18

სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიას:

სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიამ, მისაღები შემოსავლების შესაძლო დანაკარგების შემცირების და ტექნიკის არამიზნობრივი/არაეფექტური გამოყენების თავიდან აცილებისთვის, მიზანშეწონილია შემუშავებული GPS მონიტორინგით გაწეული სამუშაოს ანგარიშგების წესსა და სამუშაო აღწერილობებში დეტალურად გაწეროს თანამშრომელთა განსახორციელებელი საქმიანობების ეტაპები და პროცედურები.

რეკომენდაცია N19

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრ“:

მედიკამენტების და მარაგების ნაშთების არსებობის დადასტურების, შენახვის/დაცვის წესების შემოწმების მიზნით, რეგიონულმა ჯანდაცვის ცენტრმა შეიმუშაოს აქტივების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი. მიზანშეწონილია საინვენტარიზაციო კომისია დაკომპლექტდეს ისე, რომ კომისიის წევრების მხრიდან გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები.

რეკომენდაცია N20

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას:

საბიბლიოთეკო ფონდებზე უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად, ეროვნულმა ბიბლიოთეკამ მნიშვნელოვანია შეიმუშაოს მოვლა-შენახვის

პოლიტიკა, მიზანშეწონილია ასევე განისაზღვროს ბიბლიოთეკაში დაცული ფონდების გამოყენების და შენახვის პირობები.

შესავალი

აუდიტის მოტივაცია

ინვენტარიზაცია ფინანსური და არაფინანსური აქტივების მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი და კონტროლის მექანიზმია, რომლის მიზანია:

-) აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა;
-) ისეთი აქტივების გამოვლენა, რომელთაც ორგანიზაციისათვის არ მოაქვთ ეკონომიკური სარგებელი;
-) აქტივების მოვლა-შენახვის და ექსპლუატაციის წესების დაცვის შემოწმება;
-) ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების არსებობისა და ზუსტი ნაშთის დადგენა;
-) დანაკლისების და ზედმეტობების გამოვლენა და შემდგომი ღონისძიებების გატარება.

საჯარო სექტორში ინვენტარიზაციის პროცესი სისტემური ტიპის ნაკლოვანებებით ხასიათდება, რაზეც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის და კერძო აუდიტორული ფირმების მიერ ჩატარებული აუდიტის ანგარიშებიც მიუთითებს, კერძოდ:

-) 2019 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული 10 სამინისტროს ფინანსური აუდიტის ანგარიშებში პირობითი ან უარყოფითი მოსაზრების ერთ-ერთ საფუძველად მოყვანილია ინვენტარიზაციის პროცესთან დაკავშირებული ხარვეზები;
-) სახელმწიფო კომპანიების¹² ფინანსური აუდიტის 32 ანგარიშიდან 8-ში პირობითი ან უარყოფითი მოსაზრების ერთ-ერთ საფუძველად მოყვანილია ინვენტარიზაციის ჩატარებასთან ან აუდიტორების მიერ ინვენტარიზაციის პროცესის დასწრებასთან დაკავშირებული პრობლემები.

აღსანიშნავია ასევე, რომ საქართველოს 2019-2020 წლების ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტს¹³ წარმოადგენს სახელმწიფო კომპანიების მართვის მექანიზმების გაუმჯობესება, რაც გულისხმობს სახელმწიფო კომპანიებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია, შეესწავლა საჯარო სექტორში ჩატარებული ინვენტარიზაციების შესაბამისობა მარეგულირებელ ნორმებთან და გამოველინა არსებული ხარვეზების ძირითადი გამომწვევი მიზეზები.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტ(ებ)ის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე,

¹² სახელმწიფო კომპანიების შესახებ ინფორმაცია აღებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული ანგარიშიდან „ფისკალური რისკების ანალიზი 2019-2023 წწ“. შერჩეულია მილიონ ლარზე მეტი ბრუნვის მქონე 48 ორგანიზაცია, საიდანაც 16 აუდიტის დასკვნა იყო უპირობო.

¹³ პრიორიტეტი IX ამოცანა N9.3 სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანიების მართვის მექანიზმების გაუმჯობესება.

ასევე, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – აუდიტის ობიექტ(ებ)ის ინვენტარიზაციის პროცესის მართვისა და რეგულირების საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა:

- J საჯარო სექტორში არაფინანსური აქტივების აღრიცხვის და მართვის საკითხი;
- J ორგანიზაციებში ჩატარებული ინვენტარიზაციის პროცესი;
- J გამოუყენებელი და გასაყიდად გამიზნული აქტივების იდენტიფიცირების და შემდგომი განკარგვის საკითხი;
- J საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვის და ინვენტარიზაციის საკითხი;
- J სამუზეუმო ექსპონატების აღრიცხვის და ინვენტარიზაციის საკითხი;
- J მიქცეული და განსაკარგავად გადაცემული ქონების ინვენტარიზაციის პროცესი;
- J სახელმწიფო მიწების, შენობების, სახელმწიფო კომპანიების კაპიტალის აღრიცხვის და ინვენტარიზაციის პროცესი;
- J სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გადაადგილების კონტროლის საკითხი;
- J მედიკამენტების ინვენტარიზაციის საკითხი.

აუდიტის მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საჯარო სექტორში ინვენტარიზაციის პროცესის სისტემური შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა 2019 წლის 1 იანვრიდან - 31 დეკემბრამდე პერიოდი.

პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, აუდიტის ობიექტების შერჩევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც ფლობენ მნიშვნელოვანი ოდენობით განსხვავებული ტიპის აქტივებს და საქმიანობის სფეროც განსხვავებულია, შედეგად, აუდიტის ობიექტებად განისაზღვრა:

-)/ სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო;
-)/ საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა;
-)/ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო;
-)/ სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია;
-)/ სსიპ - საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი - ხელოვნების სასახლე;
-)/ შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“;
-)/ შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“;
-)/ შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“;
-)/ შპს „თბილსერვის ჯგუფი“.

აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში, სახელმწიფო ქონების შესახებ კანონში შევიდა ცვლილება,¹⁴ რომლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო გაერთიანდნენ. ქონების სააგენტოს გადაეცა მომსახურების სააგენტოს ფუნქცია-მოვალეობები და ჩაითვალა მის უფლებამონაცვლედ. შესაბამისად, მომსახურების სააგენტოზე გაცემული რეკომენდაციების შესრულებასაც უზრუნველყოფს ქონების სააგენტო.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

-)/ „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის ბრძანება N605;
-)/ „ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი საშუალებებისა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს კოლეგიის 1995 წლის 1 აგვისტოს დადგენილება N12-03;
-)/ „საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების

¹⁴ N5989-III 29.05.2020.

თაობაზე საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის დადგენილება N82;

-)/ „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N449;
-)/ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N429;
-)/ „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის ბრძანება N108;
-)/ „სამუზეუმო ექსპონატების აღრიცხვისა და დაცვის შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 ივლისის N3/121 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
-)/ „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვის ინსტრუქცია“ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის 2013 წლის 3 ოქტომბრის N17 ბრძანება.

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.


აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

-)/ აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
-)/ მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შესწავლა;
-)/ ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან;
-)/ აუდიტის ობიექტების საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული არაფინანსური აქტივების ვიზუალური დათვალიერება;
-)/ მონაცემთა ანალიზი (მონაცემთა ბაზებისა და მონაცემთა დოკუმენტური ანალიზი) და ა.შ.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის N99 ბრძანების მიხედვით, საჯარო სექტორი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:



ბრძანების მიხედვით, საჯარო სექტორი მოიცავს როგორც სახელმწიფო მმართველობას, ასევე საჯარო კორპორაციებს, სახელმწიფო კომპანიები მიეკუთვნებიან საჯარო კორპორაციების კატეგორიას.

N1 ცხრილში წარმოდგენილია აუდიტის ობიექტების აქტივების და ვალდებულებების ნაშთები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:¹⁵

ცხრილი N1

დასახელება	აქტივები	ვალდებულებები
მომსახურების სააგენტო	87,169,003	3,573,206
რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი	36,682,909	2,442,944
ეროვნული ბიბლიოთეკა	14,827,475	297,564
ქონების სააგენტო	568,484,575	17,142,120
სამხატვრო აკადემია	40,145,947	211,996
სახელმწიფო სამშენებლო კომპანია	98,935,836	1,311,093
თბილისერვის ჯგუფი	110,276,359	4,053,919
ხელოვნების სასახლე	2,457,673	89,035
ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია	172,626,852	50,660,883
სულ:	1,131,606,629	79,782,760

აღსანიშნავია, რომ აუდიტის ობიექტები ფლობენ და აკონტროლებენ სპეციფიკურ აქტივებს,¹⁶ რომელთა აღრიცხვის და ინვენტარიზაციის პროცესი რეგულირდება შიდა წესებით, თუმცა მათი ნაწილი აღურიცხველია ან არასრულყოფილად აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებებში, კერძოდ:

¹⁵ ვინაიდან აუდიტის პერიოდში სახელმწიფო კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები არ არის აუდიტორების მიერ შემოწმებული, მოცემული ნაშთები შეიძლება დაზუსტდეს განხორციელებული ფინანსური აუდიტების შემდგომ.

¹⁶ იხ. N2 დანართი.

-)/ საბიბლიოთეკო ფონდები;
-)/ ფასეულობები;
-)/ მიქცეული და განსაკარგავად გადაცემული ქონებები;
-)/ სახელმწიფო მიწები და შენობები;
-)/ სახელმწიფო კომპანიებში არსებული წილები;
-)/ სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან და იჯარით გაცემიდან წარმოქმნილი მოთხოვნები, მათ შორის დარიცხული პირგასამტეხლოები.

საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნების და ვალდებულებების პროცესს არეგულირებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის ბრძანება N605.

სახელმწიფო კომპანიებში ინვენტარიზაციის პროცესი რეგულირდება საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს კოლეგიის 1995 წლის 1 აგვისტოს N12-03 დადგენილებით დამტკიცებული, „ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი საშუალებებისა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

აუდიტის მიგნებები

1. არაფინანსური აქტივებისა და საწყობის მართვის ნაკლოვანებები

ორგანიზაციის მფლობელობაში/საკუთრებაში არსებული არაფინანსური აქტივების შესახებ ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაცია უზრუნველყოფს ოპტიმალურად და ეფექტურად დაიგეგმოს ბიუჯეტი, შეფასდეს არაფინანსური აქტივების მდგომარეობა და მათი შემდგომი გამოყენების საკითხი, რაც გულისხმობს მომავალ პერიოდში აქტივების შესყიდვის ან რეალიზაციის საჭიროების განსაზღვრას.

არაფინანსური აქტივების იდენტიფიცირების, დაცულობის, ეფექტური მართვისა და ინვენტარიზაციის პროცესის გამარტივებისათვის საჭიროა ორგანიზაცია ფლობდეს აქტივებთან დაკავშირებულ შემდეგი სახის ინფორმაციას:

-)/ მინიჭებული საინვენტარო ნომრის ან შტრიხკოდის შესახებ;
-)/ მატერიალურად პასუხისმგებელი პირის შესახებ;
-)/ ადგილმდებარეობის შესახებ;
-)/ მდგომარეობის შესახებ;
-)/ შეტანილი ცვლილებების შესახებ.

N2 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია აუდიტის ობიექტების მიერ ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების აღრიცხვის მიზნით გამოყენებული საშუალებების შესახებ:

ცხრილი N2

N	დასახელება	შიდა გადაადგილება	ადგილმდებარეობა	მატერიალურ. პასუხისმგებელი	უნიკალური ნომერი	მდგომარეობა
1	მომსახურების სააგენტო რეგიონული	ექსელი	ექსელი	ექსელი	ექსელი/საბუღალტრო პროგრამა	არ აღინიშნება
2	ჯანდაცვის ცენტრი	საბუღალტრო პროგრამა	საბუღალტრო პროგრამა	ექსელი	ექსელი	ექსელი
3	ეროვნული ბიბლიოთეკა	ექსელი	ექსელი	არ აღინიშნება	ექსელი	არ აღინიშნება
4	ეროვნული სააგენტო	ექსელი	ექსელი	ექსელი	ექსელი	არ აღინიშნება
5	სამხატვრო აკადემია	ექსელი	არ აღინიშნება	არ აღინიშნება	არ აღინიშნება	არ აღინიშნება
6	სახელმწიფო სამშენებლო კომპანია	www.rs.ge	საბუღალტრო პროგრამა	ექსელი	საბუღალტრო პროგრამა	ექსელი
7	თბილისერვის ჯგუფი	საწყობის მართვის პროგრამა	საწყობის მართვის პროგრამა	საწყობის მართვის პროგრამა	საწყობის მართვის პროგრამა	საწყობის მართვის პროგრამა ¹⁷
8	ხელოვნების სასახლე	ელექტრონული დოკუმენტბრუნვა	ექსელი	ექსელი	ექსელი	ექსელი
9	ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია	www.rs.ge	ექსელი	ექსელი	ექსელი	ექსელი

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ შემოწმებული 9 ორგანიზაციიდან 8-ში:¹⁸

-)/ სრულყოფილად¹⁹ არ არის დანერგილი არაფინანსური აქტივების მართვის ელექტრონული პროგრამა;

¹⁷ პროგრამაში აქტივების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია აისახება მხოლოდ ძირითად საშუალებებზე.

¹⁸ გარდა თბილისერვის ჯგუფისა.

¹⁹ რეგიონული ჯანდაცვის ცენტრში მედიკამენტების, საკანცელარიო და საოფისე მარაგების აღრიცხვისათვის 2015 წლიდან დანერგილია სამედიცინო კომპიუტერული პროგრამა Accuracy Med, ხოლო სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის განმარტებით, აქტივების მართვის

-)/ არაფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაციები აღირიცხება სხვადასხვა არასისტემატიზებული საშუალებით, რაც ვერ უზრუნველყოფს სწრაფი და ზუსტი მმართველობითი ანგარიშების გენერირებას;
-)/ აქტივების შესახებ ინფორმაციები არასრულყოფილია;
-)/ არ არის განსაზღვრული ინფორმაციის შეკრებასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირები;
-)/ არ არის შემუშავებული ინფორმაციაზე წვდომის და დაშვებების პოლიტიკა;
-)/ არ არის დანერგილი ერთიანი მიდგომა არაფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვასთან დაკავშირებით, ორგანიზაციები ერთგვაროვან აქტივებს აღრიცხავენ და წარმოადგენენ განსხვავებული ფორმატით.

დასკვნა

შედეგად, არაფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვის არსებული მიდგომები ვერ უზრუნველყოფს აქტივების შესახებ სრული და ოპერატიული ანგარიშების წარმოდგენას, არაფინანსური აქტივები და მათ შესახებ ინფორმაციები არ არის დაცული დაკარგვისა და დაზიანებისაგან, შედეგად რთულდება სწრაფი და ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და ინვენტარიზაციის განხორციელების პროცესი.

რეკომენდაცია N1 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

საჯარო სექტორში არაფინანსური აქტივების აღრიცხვის ერთიანი მიდგომის ჩამოსაყალიბებლად, ბიუჯეტის ოპტიმალური დაგეგმვის, ინვენტარიზაციის პროცესის გაუმჯობესების და არაფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაციაზე შეუფერხებელი წვდომის მიზნით, ფინანსთა სამინისტრომ იმსჯელოს აქტივების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვაზე. მიზანშეწონილია, აღნიშნულ სისტემაში ინფორმაციის განთავსების საშუალება ჰქონდეთ სახელმწიფო კომპანიებსაც.

2. ინვენტარიზაციის პროცესის ნაკლოვანებები

2.1 სახელმწიფო კომპანიებში ინვენტარიზაციის პროცესის ხარვეზები

სახელმწიფო კომპანიებში ყოველწლიურად ჩატარებული ინვენტარიზაცია და მისი ჩატარების წესი წარმოადგენს კონტროლის მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას, მათი გამოყენების და სარგებლის მიღების საკითხის შესწავლას, შენახვის/დაცვის წესების შემოწმებას, საბიუჯეტო სახსრების სწორ დაგეგმვას, დანაკლისებისა და ზედმეტობის გამოვლენას და შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვას. სახელმწიფო კომპანიების მიერ ინვენტარიზაციის შედეგების ზემდგომი ორგანოებისათვის პერიოდულად მიწოდება ხელს უწყობს დაიგეგმოს და გატარდეს გამოუყენებელი და გამოუსადეგარი ქონებების შემდგომი განკარგვის ღონისძიებები.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა:

ელექტრონული პროგრამა შესყიდულია, თუმცა მისი დანერგვა და გამოყენება შეჩერებულია, ვინაიდან კომპანია არის რეორგანიზაციის პროცესში და ჯერჯერობით გადაუწყვეტელია საქმიანობის გაგრძელების საკითხი.

- სახელმწიფო კომპანიებში ინვენტარიზაციის ჩატარების მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტები²⁰ ვერ უზრუნველყოფს ინვენტარიზაციის ძირითადი მიზნების მიღწევას, ვინაიდან არ არის შემუშავებული შაბლონური ფორმები, რომლებიც შეიცავს აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ სრულყოფილ ინფორმაციას.²¹ ასევე დოკუმენტი არ ითვალისწინებს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის და ჩამოწერის საკითხებს;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მფლობელობაში არსებული კომპანიებისთვის მარეგულირებელი დოკუმენტი არ ითვალისწინებს ინვენტარიზაციის ჩატარების პროცედურებს;
- სახელმწიფო კომპანიებსა და საბიუჯეტო ორგანიზაციებში, ინვენტარიზაციის ჩატარების პერიოდულობა²² განსხვავებულია;
- კომპანიების საქმიანობის მიმართულებებიდან გამომდინარე, ისინი ფლობენ სპეციფიკურ აქტივებს,²³ რომელთა ინვენტარიზაციისათვის აუცილებელია შიდა ინსტრუქციები, რაც არც ერთ შემოწმებულ სახელმწიფო კომპანიას არ აქვს შემუშავებული;
- აუდიტის ობიექტად განსაზღვრული ოთხი სახელმწიფო საწარმოდან 2019 წელს არც ერთს არ აქვს ჩატარებული/დასრულებული²⁴ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია;
- საქართველოს 2019-2020 წლების ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის შესაბამისად, ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანებით,²⁵ სახელმწიფოს მფლობელობაში არსებულ 100%-იან კომპანიებს დაევალოთ ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებულ ნაშთებზე. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასეთი ინფორმაცია 74 ორგანიზაციიდან წარმოდგენილია 16-ის მიერ;
- ინვენტარიზაციის ჩატარება და შედეგების წარმოდგენა იყო ერთჯერადი და ატარებდა არასისტემურ ხასიათს. ქონების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2017 წლის 2 თებერვლის N1/1-284²⁶ ბრძანებით განსაზღვრულია ინფორმაციის სახეები და ვადები თუ რა

²⁰ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს კოლეგიის 1995 წლის 1 აგვისტოს დადგენილება N12-03 და საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის ბრძანებულება N70. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების ინვენტარიზაციის ჩატარება რეგულირდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-100 დადგენილებით.

²¹ ადგილმდებარეობის, მატერიალურ-პასუხისმგებელი პირების, საინვენტარო ნომრების, მათი მდგომარეობის, გამოვლენილი დანაკლისების და ზედმეტობების, შემდგომი განკარგვისა და შედეგებზე რეაგირების შესახებ ინფორმაცია.

²² ფინანსთა სამინისტროს კოლეგიის დადგენილებაში ძირითად საშუალებების ინვენტარიზაციის ჩატარება განსაზღვრულია 3 წელიწადში ერთხელ.

²³ სამშენებლო მარაგები, ტრაქტორები, აგრეგატები, სამშენებლო ტექნიკა და ა.შ.

²⁴ რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის 2019 წლის 27 ნოემბრის N13-21/ო-16 ბრძანების მიხედვით, ორგანიზაციაში დაწყებულია ინვენტარიზაცია, 2020 წლის 7 მაისს თბილისერვის ჯგუფსა და შპს „ნექსია თინის“ შორის გაფორმებულია ხელშეკრულება ინვენტარიზაციის ჩატარებაზე, ასევე 2020 წლის 20 იანვარს სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიასა და შპს „რასელ ბედფორდ ეივისის“ შორის გაფორმებულია ხელშეკრულება ინვენტარიზაციის ჩატარებაზე, სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის განმარტებით, 2020 წელს ჩატარდა ინვენტარიზაცია, რომელიც აუდიტის ჯგუფს არ გადაუმოწმებია, ვინაიდან სცდებოდა აუდიტის მასშტაბით განსაზღვრულ პერიოდს.

²⁵ 2019 წლის 8 აგვისტოს N1/1-33 ბრძანება.

²⁶ სახელმწიფოს 50%-ზე (სს-ს შემთხვევაში, 75%-ზე) მეტი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებების, ბიზნესგეგმების პროექტებისა და წლიური ანგარიშების შემუშავების, წარმოდგენის, განხილვისა და გამოქვეყნების შესახებ.

დასკვნა

პერიოდულობით უნდა იყოს წარმოდგენილი სახელმწიფო კომპანიების მიერ ქონების ეროვნული სააგენტოსათვის სხვადასხვა ფინანსური ინფორმაცია. ბრძანება არ ითვალისწინებს ყოველწლიურად ინვენტარიზაციის მასალების და შედეგების წარმოდგენას ქონების ეროვნული სააგენტოსათვის, შესაბამისად, ზემდგომ ორგანოს, პარტნიორს/აქციონერს არ წარედგინება ინფორმაცია არაფინანსური აქტივების გამოყენების და მათი სარგებლიანობის შესახებ.

რეკომენდაცია N2

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

შესაბამისად, დადგენილი ნორმატიული აქტები არ არის სრულყოფილი და ხშირ შემთხვევებში, ისინი არ სრულდება. ასევე არ არის განსაზღვრული სახელმწიფო კომპანიების მიერ ზემდგომი ორგანოსათვის (პარტნიორისათვის) ინვენტარიზაციის მასალების, გამოუყენებელ და ჩამოსაწერ ქონებებზე ინფორმაციის წარდგენის ვადები. შედეგად, სახელმწიფო კომპანიებში ინვენტარიზაციის ჩატარების პროცესზე საზედამხედველო კონტროლი არ არის ეფექტური, რაც ზრდის აქტივების არარაციონალურად გამოყენების რისკებს.

სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტების მხრიდან კომპანიებზე კონტროლის გაძლიერების, აქტივების და ვალდებულებების ეფექტური მართვისა და გამოყენებისათვის, მიზანშეწონილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მჭიდრო კოორდინაციით, საჯარო სექტორის ერთეულებისათვის დადგინდეს ინვენტარიზაციის ჩატარების ერთიანი წესი და განისაზღვროს ზემდგომი ორგანოსათვის ინფორმაციის წარდგენის პერიოდულობა. მიზანშეწონილია იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც ფლობენ სპეციფიკურ აქტივებს შეიმუშაონ ინვენტარიზაციის შიდა ინსტრუქციები, სადაც გაწერილი იქნება ინვენტარიზაციის ჩატარების ტექნიკური საკითხები.

2.2 ინფორმაციული ტექნოლოგიების ნაკლებობა ინვენტარიზაციის პროცესში

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს ინვენტარიზაციის პროცესის ეფექტურობის ზრდას, ამცირებს შეცდომის და თაღლითობის რისკს და მინიმუმადე დაჰყავს ინვენტარიზაციის ჩატარების დრო და შრომითი დანახარჯი.

შემოწმებული 9 ორგანიზაციიდან 2019 წელს ინვენტარიზაცია ჩატარდა 5 ორგანიზაციაში.²⁷ 3 ორგანიზაციაში საინვენტარო აღწერები ტარდება მანუალურად²⁸ და არ არის გამოყენებული საინვენტარო აღწერის ელექტრონული საშუალებები, შტრიხკოდის წამკითხველები (სკანერები).

დასკვნა

აღნიშნული იწვევს ინვენტარიზაციის პროცესის დროში გაჭიანურებას, დამატებით ხარჯებს და შეცდომით ან თაღლითობით დაშვებულ უზუსტობის რისკებს.

რეკომენდაცია N3

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

საჯარო სექტორში ინვენტარიზაციის ჩატარების ერთიანი პრაქტიკის დამკვიდრების, ინვენტარიზაციის პროცესის გამარტივების, შრომითი დანახარჯის, შეცდომის ან თაღლითობით გამოწვეული უზუსტობის რისკის შესამცირებლად, მიზანშეწონილია ფინანსთა სამინისტრომ საჯარო სექტორში დანერგოს საინვენტარო აღწერის ელექტრონული საშუალებები.

²⁷ იხ. N2 დანართი.

²⁸ საინვენტარო აღწერები მანუალურად ტარდება: ხელოვნების სასახლეში, სამხატვრო აკადემიასა და მომსახურების სააგენტოში.

2.3 ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ნაკლოვანებები

N3 ცხრილში წარმოდგენილია აუდიტის ობიექტების ბალანსზე რიცხული დებიტორული დავალიანების ნაშთები:

დასახელება	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		მათ შორის, 2015 წლამდე წარმოშობილი	
	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა
მომსახურების სააგენტო	264	73,424,127 ²⁹	45	71,456
რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი	52	2,255,347	3	266
ეროვნული ბიბლიოთეკა	6	627,740	-	-
ქონების სააგენტო	921	532,490,340 ³⁰	38	166,196,078 ³¹
სამხატვრო აკადემია	131	2,585,624	1	15,031
სახელმწიფო სამშენებლო კომპანია	133	7,624,898	5	5,720,681
თბილისერვის ჯგუფი	1,018	4,121,484	1	12,894
ხელოვნების სასახლე	1	960	-	-
ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია	1,679	2,597,745	854	1,019,676

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია მოთხოვნებისა და ვალდებულებების ზუსტი ნაშთის დადგენა. ასევე საბიუჯეტო ორგანიზაციებში საინვენტარიზაციო კომისია ვალდებულია შეადგინოს დასკვნა დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ჩამოწერის მიზანშეწონილობაზე.³²

კანონმდებლობით დადგენილია საბიუჯეტო ორგანიზაციების დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ზუსტი ნაშთის ან ჩამოწერისას გასათვალისწინებელი საკითხები და საინვენტარიზაციო კომისიის მიერ მოსამზადებელი დოკუმენტები, რაც შემოწმებული 5 საბიუჯეტო ორგანიზაციიდან 4-ში³³ არის მომზადებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკის ბალანსზე ირიცხება ორი ორგანიზაციის³⁴ მიმართ 1998-1999 წლებში წარმოქმნილი 49,378 ლარის ოდენობის კრედიტორული დავალიანება, ინვენტარიზაციის დროს არ არის შეფასებული აღნიშნული დავალიანებების დაფარვის ალბათობა.

შედეგად არსებობს რისკი, რომ ეროვნული ბიბლიოთეკის ფინანსურ ანგარიშგებაში, ვალდებულებების ნაშთი 49,378 ლარით ზედმეტად იყოს წარმოდგენილი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფო კომპანიებში მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაშთების ინვენტარიზაციის საკითხი ნორმატიულ დოკუმენტში დარეგულირებული არ არის. შესაბამისად, სახელმწიფო კომპანიები ხელმძღვანელობენ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით. კერძოდ, კომპანიებმა უნდა შეაფასონ დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების რეალობა, მათი

²⁹ საიდანაც 72,923,634 ლარი არის აქციები და სხვა კაპიტალი.

³⁰ საიდანაც 529,187,906 ლარი არის აქციები და სხვა კაპიტალი.

³¹ საიდანაც 166,195,686 ლარი არის აქციები და სხვა კაპიტალი.

³² ფინანსთა მინისტრის ბრძანება N605, 11-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

³³ იხილეთ N2 დანართი.

³⁴ შპს „ატლასი“ შპს „თბოელექტროცენტრალი“.

ამოღების და დაფარვის ალბათობა, რაც შემოწმებული 4 ორგანიზაციიდან 2-ში³⁵ განხორციელებული არ არის.

სახელმწიფო სამშენებლო კომპანია

სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის ბალანსზე და ბუღალტრულ მონაცემებში ირიცხება 5,700,298 ლარის დებიტორული დავალიანება შპს „ნიუ ენერჯის“ მიმართ, რომელიც წარმოშობილია 2012 წელს. შპს „ნიუ ენერჯის“ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუნარობის საქმისწარმოება. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 13 მარტის საოქმო განჩინების საფუძველზე, კომპანია აღნიშნულ დავალიანებაზე კრედიტორთა რეესტრში შეყვანილია მე-6 რიგის კრედიტორად. შედეგად, დავალიანების თანხის ამოღების და აქტივთან დაკავშირებული სარგებლის მიღების ალბათობა დაბალია, შესაბამისად, არ არსებობს რწმუნება იმისა, რომ აღნიშნული დებიტორული დავალიანება დაიფარება.

თბილსერვის ჯგუფი

თბილსერვის ჯგუფს მოთხოვნების და ვალდებულებების ანგარიშზე აღრიცხული აქვს 243,319 და 169,594 ლარის ღირებულების ისეთი დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები, რომელთა იდენტიფიცირებასაც ორგანიზაცია ვერ ახდენს ხანდაზმულობის, აღრიცხვასთან დაკავშირებული ხარვეზებისა და დოკუმენტაციის არარსებობის გამო.

კომპანიის განმარტებით, აღნიშნული ნაშთები ორგანიზაციის ბალანსზე 2016 წელს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული სამი³⁶ კომპანიის შერწყმის შედეგად წარმოეშვა. ხელმძღვანელობას არ შეუფასებია დავალიანებების რეალობა და დაფარვის შესაძლებლობა და არ უმსჯელია აღნიშნული დავალიანებების ჩამოწერაზე.

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემოწმებული ორგანიზაციების უმეტესობის მიერ ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ინვენტარიზაციისას, არ/ვერ აღგენენ დავალიანების დაფარვის შესაძლებლობას ან/და ზუსტ ნაშთს. შედეგად, წარმოიშობა რისკი, რომ ფინანსური ანგარიშგება შეიცავდეს არსებითი ხასიათის უზუსტობებს, ასევე შესაძლოა შეფერხდეს დებიტორული დავალიანებების ანაზღაურების პროცესი.

რეკომენდაცია N4

ყველა შემოწმებულ ორგანიზაციას

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი წარდგენის მიზნით და დებიტორული დავალიანებების ანაზღაურების პროცესის დროული წარმართვისათვის, ყოველი საანგარიშგებო წლის დასრულებისას, ორგანიზაციებმა მოქმედი კანონმდებლობის და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, შეაფასონ აქტივების ამოღების და ვალდებულებების დაფარვის ალბათობა და იმსჯელონ ჩამოწერის ან ფინანსურ ანგარიშგებაში მათი ასახვის შესახებ.

2.4 საგადასახადო ვალდებულებების ინვენტარიზაციის ხარვეზები

მოქმედი კანონმდებლობით, საინვენტარიზაციო კომისია ვალდებულია შეაფასოს შრომის ანაზღაურების მუხლთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებების ხანდაზმულობის

³⁵ იხილეთ N2 დანართი.

³⁶ შპს „სინათლის ქალაქი“, შპს „თბილისის პარკები“ და შპს „უძრავი ქონება – თბილისი“.

საკითხი, დაადგინოს ირიცხება თუ არა საგადასახადო დავალიანებები ბუღალტრულ ანგარიშზე და საგადასახადო ბარათზე, მოიპოვოს ინფორმაცია და მიიღოს გადაწყვეტილება საჭიროების შემთხვევაში, დავალიანების ჩამოწერასთან ან/და მისი დაფარვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით.³⁷

ეროვნულ ბიბლიოთეკას ბალანსზე ერიცხება 1996-2005 წლებში წარმოქმნილი 63,406 ლარის ოდენობის საგადასახადო ვალდებულებები,³⁸ ხოლო შემოსავლების სამსახურის პირადი აღრიცხვის ბარათზე ერიცხება 130,518 ლარის ოდენობის სოციალური გადასახადი და მასზე დარიცხული 371,753 ლარის ოდენობის საურავი.³⁹

ეროვნულ ბიბლიოთეკას არ შეუფასებია საგადასახადო ვალდებულებების ხანდაზმულობის საკითხი, არ მოუპოვებია ინფორმაცია და არ მიუღია გადაწყვეტილება ასეთი დავალიანებების ჩამოწერას ან/და მისი დაფარვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

დასკვნა

რეკომენდაცია N5

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას:

2.5 საბიუჯეტო ორგანიზაციებში

საინვენტარიზაციო

დოკუმენტაციასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

შესაბამისად, არ არის შესრულებული კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და არის რისკი, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ვალდებულებები გაზრდილად იყოს წარმოდგენილი.

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, ეროვნულმა ბიბლიოთეკამ შრომის ანაზღაურების მუხლთან დაკავშირებულ საგადასახადო ვალდებულებებზე ჩაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები და შეაფასოს აღნიშნული ვალდებულებების რეალობა და არსებობა. მიზანშეწონილია საქართველოს პარლამენტთან და ფინანსთა სამინისტროსთან ერთად დადგინდეს პირადი აღრიცხვის ბარათზე, სოციალური გადასახადის მუხლში დარიცხული საგადასახადო დავალიანების გადახდის ან ჩამოწერის საკითხი.

საინვენტარო უწყისებში არაფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაციის ანალიზურად ასახვა ხელს უწყობს ფაქტობრივი და ბუღალტრული მონაცემების ზუსტ შედარებას.

გამოვლენილ დანაკლისებზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს, თუ დანაკლისი მათი ბრალეული ქმედებით არის გამოწვეული, შემდგომი შესწავლისათვის ინვენტარიზაციის მასალები გადაეცემათ სამართალდამცავ ორგანოებს.⁴⁰

5 ორგანიზაციაში ჩატარებული ინვენტარიზაციიდან 2 ორგანიზაციაში გამოვლინდა ინვენტარიზაციის პროცესთან დაკავშირებული შემდეგი ნაკლოვანებები:

1) სამხატვრო აკადემიაში საინვენტარო აღწერის დოკუმენტებში აქტივების⁴¹ შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია სინთეზურად, ერთიანი თანხით და რაოდენობით, რაც წინააღმდეგობაში მოდის

³⁷ ფინანსთა მინისტრის ბრძანება N605, 11-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

³⁸ სოციალური ანარიცხი 19,747, საშემოსავლო გადასახადი 38,404, პროფესიული კავშირის საწევრო 5,255.

³⁹ 2020 წლის 7 ივლისის მდგომარეობით, ორგანიზაცია აღნიშნულ დავალიანებას არ აღიარებს. მიღებული განმარტებით, 2003 წლის 27 მარტს მათ მიერ აღნიშნული თანხა, 130,518 ლარი ანაზღაურებულია, საგადახდო დავალება N23 27.03.2003.

⁴⁰ N605 ბრძანება, მუხლი 13, პუნქტი 2.

⁴¹ საბიბლიოთეკო ფონდების შესახებ.

ინვენტარიზაციის ჩატარების პრინციპებთან და ვერ უზრუნველყოფს აქტივების არსებობის და ზუსტი ნაშთის დადასტურების შესაძლებლობას;

- J) ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარებული საინვენტარო აღწერის დოკუმენტებში ფაქტიურ და სააღრიცხვო მონაცემებს შორის ფიქსირდება სხვაობები,⁴² საინვენტარიზაციო კომისიას და ორგანიზაციის ხელმძღვანელობას არ უმსჯელია გამოვლენილი სხვაობების გამომწვევ მიზეზებსა და შემდგომში გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

კანონმდებლობის შესაბამისად,⁴³ ინვენტარიზაციის პროცესში შესავსები დოკუმენტაციის მიზანი არაფინანსური აქტივების ფაქტობრივი ნაშთების დადასტურებასთან ერთად, არის აქტივების მდგომარეობის, გამოყენების, შენახვის და გაუფასურების საკითხების შესწავლა და შეფასება, ხოლო ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ინვენტარიზაციისას, საინვენტარიზაციო კომისიის მიერ ორგანიზაციის ხელმძღვანელისათვის წარდგენილი ინფორმაცია აქტივებისა და ვალდებულებების ზუსტი ნაშთის და არსებობის შესახებ უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას, ბიუჯეტის სწორ დაგეგმვას, ანგარიშვალდებული პირების მიმართ პასუხისმგებლობების განსაზღვრას და, შედეგებიდან გამომდინარე, რეკომენდაციების შემუშავებას.

მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული არაფინანსური აქტივების საინვენტარიზაციო აღწერის, მათი ჩამოწერის და ფინანსური აქტივების და ვალდებულებების საინვენტარიზაციო დოკუმენტები ვერ პასუხობენ ინვენტარიზაციის ჩატარების მთავარ მიზნებს, კერძოდ:

- J) საქართველოს ფინანსთა მინისტრის N449 ბრძანებით მოცემულია ინვენტარიზაციისას შესავსები ფორმები, რომლის მიხედვით საინვენტარიზაციო აღწერის⁴⁴ უწყისში მიეთითება მხოლოდ აქტივის ფაქტობრივი მდგომარეობა და არ გაითვალისწინება აქტივების გამოყენების, სარგებლის მიღების, შენახვის/დაცვის პირობების შესრულების და ექსპლუატაციის წესების დაცვის შესახებ ინფორმაცია;
- J) საქართველოს მთავრობის დადგენილებით,⁴⁵ განსაზღვრულია ძირითადი საშუალებების ჩამოწერის წესები და შესავსები ცხრილები,⁴⁶ რომლებითაც მოითხოვება არაარსებითი⁴⁷ მონაცემების წარმოდგენა და გამოტოვებულია აქტივების

⁴² მაგალითად: საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტში სააღრიცხვო ჩანაწერებით ირიცხება 5 ერთეული ტყავის სავარძელი (არ არის მითითებული საინვენტარო ნომერი), ხოლო ფაქტიურ მონაცემებში აღრიცხულია 1 ერთეული; შემიწული კარადა სააღრიცხვო მონაცემებში მითითებულია 2 ერთეული, ხოლო ფაქტიურად – 1 ერთეული; მაგიდა ორტუმბიანი სააღრიცხვო მონაცემებში მითითებულია 3 ერთეული, ფაქტიურად კი – 1 ერთეული. ბიბლიოთეკის მესამე კორპუსში, ადმინისტრაციულ დეპარტამენტში სააღრიცხვო მონაცემებით აღრიცხულია პრინტერი HP, საინვენტარო ნომრით - 1930, ხოლო ფაქტიური მონაცემების გრაფა ცარიელია და ა.შ.

⁴³ 605-ე ბრძანების პირველი მუხლის მე-9 პუნქტი.

⁴⁴ ფორმა N ინგ-1.

⁴⁵ N82.

⁴⁶ 1. ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების (შენობა-ნაგებობები და გადასაცემი მოწყობილობები) ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტი. 2. ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების (მანქანა-დანადგარები და სხვ.) ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტი. 3. ძირითადი აქტივის ლიკვიდაციის აქტი.

⁴⁷ მაგალითად: ინფორმაცია გადაფასების, ცვეთის, საინვენტარიზაციო ანგარიხის ნორმის, ლიკვიდაციის დანახარჯების შესახებ და ა.შ.

ჩამოწერის მიზეზების, დასაბუთების და ექსპერტის ან აუდიტორული ფორმის გამოყენების შესახებ ინფორმაცია;

- J) მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციისას, საინვენტარიზაციო კომისიის მიერ შესავსები და ორგანიზაციის ხელმძღვანელისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია არასრულყოფილია და საჭიროებს გაუმჯობესებას;
- J) მოთხოვნების ანგარიშზე რიცხულ დანაკლისებთან დაკავშირებული ინვენტარიზაციისას, გასატარებელი ღონისძიებები არ არის გაწერილი;
- J) ინვენტარიზაციის პროცესი და შემდგომი ღონისძიებები რეგულირდება რამდენიმე ნორმატიული აქტით, რომელთა გაერთიანებაც საქმიანობას გაამარტივებს.

დასკვნა

საბიუჯეტო ორგანიზაციებში ინვენტარიზაციის პროცესში ნორმატიული დოკუმენტით დადგენილი ფორმები სრულყოფილად ვერ პასუხობს ინვენტარიზაციით მისაღწევ მთავარ მიზნებს. კერძოდ, ვერ უზრუნველყოფს აქტივების მდგომარეობის, გამოყენების, შენახვის და გაუფასურების საკითხების შეფასებას, დოკუმენტირებას და საჭიროებს დახვეწას.

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გაუმჯობესების მიზნით, ანგარიშს N1 დანართის სახით თან ახლავს ფორმები, რომელთა გამოყენება, აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გაამარტივებს ინვენტარიზაციის პროცესს და გაზრდის მის ეფექტურობას.

რეკომენდაცია N6

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

საბიუჯეტო ორგანიზაციებში ინვენტარიზაციის პროცესის გამარტივებისა და ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბების მიზნით, ფინანსთა სამინისტრომ განაახლოს შესაბამისი ნორმატიული აქტები, მათ შორის, საინვენტარიზაციო კომისიის მიერ არაფინანსური აქტივების, ფინანსური აქტივების და ვალდებულებების საინვენტარიზაციო აღწერის და ჩამოწერის ფორმები.

3. გამოუყენებელი და ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი აქტივების იდენტიფიცირების და შემდგომი განკარგვის ნაკლოვანებები

არაფინანსური აქტივების მდგომარეობის, მათი შემდგომში გამოყენების, შეფასების და განკარგვის ღონისძიებების დაგეგმვა ერთი მხრივ, უზრუნველყოფს მომავალ წლებში ბიუჯეტების სწორ დაგეგმვას, ხოლო მეორე მხრივ შესაძლებლობას იძლევა სახელმწიფო ბიუჯეტმა და სახელმწიფო კომპანიებმა მიიღონ დამატებითი ეკონომიკური სარგებელი აქტივების განკარგვის შედეგად.

შემოწმებული 9 ორგანიზაციიდან 3-ში გამოვლინდა, რომ მათ საკუთრებაში/მფლობელობაში გააჩნიათ ისეთი აქტივები, რომელთა გამოყენების და მათგან სარგებლის მიღების ალბათობა არ არის მაღალი.

სახელმწიფო სამშენებლო კომპანია

სახელმწიფო სამშენებლო კომპანია ახორციელებს მხოლოდ ერთ პროექტს, კერძოდ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელ რუხში მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის სამშენებლო სამუშაოებს, რომლებიც დასრულების ეტაპზეა.

ორგანიზაციის ბალანსზე ირიცხება სხვადასხვა უწყების მიერ გადმოცემული აქტივები, რომლებსაც არ/ვერ იყენებს.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია www.eauction.ge-ს მეშვეობით ახორციელებს ნაწილი გამოუყენებელი ქონების ინტერნეტაუქციონით რეალიზაციას, ბალანსზე მაინც ირიცხება ისეთი არაფინანსური აქტივები, რომლებიც აუქციონზე არ გაუტანიათ.⁴⁸

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ბალანსზე რიცხული რამდენიმე არსებითი ღირებულების აქტივების ჩამონათვალი, რომელთა გამოყენებით ეკონომიკური სარგებელი არ/ვერ მიიღება:

- ┆ 5,361,250 ლარის ღირებულების ტეტრაპოდები;⁴⁹
- ┆ 1,086,070 ლარის ნარჩენი ღირებულების მქონე სხვადასხვა სახის ძირითადი საშუალება;⁵⁰
- ┆ 1,343,196 ლარის ღირებულების სამშენებლო მარაგები, რომლებიც 2019 წლის განმავლობაში არ გამოუყენებიათ.

რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი

რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის ბალანსზე⁵¹ ირიცხება დაყადაღებული და იპოთეკით დატვირთული მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები⁵² და მათში განთავსებული მოძრავი ქონება, რომელთა გამოყენება ან სხვა ფორმით განკარგვა ვერ ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის დროს, არ ხდება შენობებში განთავსებული აქტივების სრულყოფილი იდენტიფიცირება და გამოჯგნა, შედეგად კი შენობა-ნაგებობებში შესაძლებელია განთავსებული იყოს ისეთი მოძრავი ქონება, რომელიც დაუყადაღებელია და ორგანიზაცია უფლებამოსილი იყოს გამოიყენოს განკარგვის სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის, მიიღოს დამატებითი შემოსავალი ქონების გაყიდვიდან.

თბილისერვის ჯგუფი

თბილისერვის ჯგუფს მიმდინარე მდგომარეობით ერიცხება წინა საანგარიშგებო პერიოდებში შესყიდული 107,599 ლარის ღირებულების მარაგები,⁵³ რომლებიც 2019 წელს არ გამოუყენებიათ. ტექნიკა, რომლისთვისაც აღნიშნული მარაგები გამოიყენებოდა, ორგანიზაციას აღარ გააჩნია, შესაბამისად, მარაგების მომავალში გამოყენების შესაძლებლობა დაბალია.

ორგანიზაციას ბალანსზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხებოდა 2,430 ტონა ტექნიკური მარილი, ღირებულებით 486,628 ლარი,⁵⁴ რომელიც განთავსებულია ღია სივრცეში. არსებობს რისკი, რომ მარაგების გარკვეული ნაწილი, რომელიც შესყიდულია წინა საანგარიშგებო პერიოდებში, ვერ პასუხობდეს ტექნიკურ მოთხოვნებს და გაუფასურებული იყოს.

⁴⁸ მიღებული განმარტებით, აღნიშნულის დროში გაჭიანურების მიზეზს წარმოადგენს ზემდგომ ორგანოსთან სარეალიზაციო აქტივების განსაზღვრის და შეთანხმების პროცესი.

⁴⁹ ტეტრაპოდი არის ბეტონის კონსტრუქცია, რომელიც გამოიყენება ნაპირსამაგრი სამუშაოებისას. მიღებული განმარტებით, ტეტრაპოდები სამშენებლო კომპანიის კაპიტალში შეტანილია საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანებით, სარფის სანაპირო ზოლის ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის, რომლებიც ამ ეტაპზე განხორციელებული არ არის. სამშენებლო კომპანიის დაკვეთით, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ტეტრაპოდების ინვენტარიზაცია ვერ განახორციელა (2019 წლის 11 თებერვლის წერილი N5000853719).

⁵⁰ მათ შორის: ოფისის აღჭურვილობა, სატრანსპორტო საშუალებები, მანქანა-დანადგარები.

⁵¹ 2020 წლის 25 თებერვლის N13/74 წერილი სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.

⁵² ძველი კლინიკები.

⁵³ ნაგავშიდი მანქანების დამხმარე მასალები.

⁵⁴ ძირითადი ნაწილი განთავსებულია ბელიაშვილის ქუჩასა და კახეთის გზატკეცილზე.

დასკვნა

რეკომენდაცია N7

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიას“, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრს“ და შპს „თბილსერვის ჯგუფს“

თბილსერვის ჯგუფის წარმომადგენლების განმარტებით, დაგეგმილია ექსპერტიზის ჩატარება და ტექნიკური მარილის ვარგისიანობის და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. ასევე საწყობებში ტექნიკური მარილის განთავსების მიზნით, დაწყებულია შესაბამისი საცავის მშენებლობები.

ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე, ორგანიზაციებში სათანადოდ არ ხორციელდება გამოუყენებელი და ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი აქტივების იდენტიფიცირება, და ზემდგომ ორგანოსთან ერთად შემდგომი განკარგვის ღონისძიებების გატარება, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს მისაღებ შემოსავლებზე.

რეგიონული ჯანდაცვის ცენტრმა, სახელმწიფო სამშენებლო კომპანიამ და თბილსერვის ჯგუფმა, მათ მფლობელობაში არსებული არაფინანსური აქტივების ეფექტური განკარგვის და დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით, განახორციელონ გამოუყენებელი და ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი აქტივების იდენტიფიცირება და ზემდგომ ორგანოსთან ერთად იმსჯელონ მათი შემდგომი განკარგვის (გაყიდვა, გადაცემა, ჩამოწერა) ღონისძიებების შესახებ.

სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია

2017 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება⁵⁵ ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიის აქტივების შესახებ.⁵⁶ 2018 წლის იანვარში დამტკიცდა ქონების გასხვისების გეგმა,⁵⁷ რა დროისთვისაც ბალანსზე ირიცხებოდა 5,983 სხვადასხვა სახის ტექნიკა.⁵⁸

გეგმის მიხედვით, პირველ ეტაპზე შეფასდებოდა და აუქციონზე განთავსდებოდა ნაკლებად დატვირთული არა უმეტეს 300 ერთეული გამწევი ტექნიკა⁵⁹ და არა უმეტეს 1000 ერთეული იმპლემენტი/მისაბმელი. 2018 წლის სექტემბრიდან⁶⁰ ორგანიზაციას მიენიჭა გეგმით განსაზღვრული ქონების სარეალიზაციო შერჩევის და რეალიზაციის პერიოდულობის განსაზღვრის უფლებამოსილება. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსზე ირიცხებოდა 5,303 ერთეული ტექნიკა.⁶¹

აღსანიშნავია, რომ მას შემდგომ რაც კომპანიას მიენიჭა გეგმით განსაზღვრული ქონების სარეალიზაციოდ შერჩევის და რეალიზაციის პერიოდულობის განსაზღვრის უფლებამოსილება, მას არ შეუმუშავებია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემდგომი გასხვისების გეგმა, გაყიდვის კრიტერიუმებით და ვადებით. აღნიშნულ პერიოდში რეალიზებულია 13,264,679 ლარის საბალანსო ღირებულების 857 ერთეული, ხოლო

⁵⁵ პარლამენტში აგრარულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიის რეორგანიზაციის საკითხის განხილვისას.

⁵⁶ საწარმოს აქტივების გასხვისების ძირითად მიზეზებად დასახელდა: სხვადასხვა ზომის კერძო კომპანიების განვითარებისა და მათი კომერციალიზაციის შეფერხება; არსებული სტრუქტურით, კომპანიის არაეფექტურობა, მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამის დასრულება და კომპანიის არარენტაბელურობა და სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური დახმარებების საჭიროება.

⁵⁷ ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს გამგეობის (რომელიც წარმოადგენს კომპანიის წილის 100%-იან მესაკუთრეს) 2018 წლის 25 იანვრის N91 სხდომის ოქმით დამტკიცდა კომპანიის ქონების გასხვისების გეგმა.

⁵⁸ ტრაქტორი, იმპლემენტი, კომბაინი და ა.შ.

⁵⁹ სიმძლავრე არ აღემატება 200 ც/მ-ს.

⁶⁰ 2018 წლის 12 სექტემბრის N98 გამგეობის სხდომის ოქმი.

⁶¹ ტრაქტორი, კომბაინი, აგრეგატი.

დასკვნა

რეკომენდაცია N8

რეკომენდაცია სოფლის მეურნეობის
ლოჯისტიკის და სერვისების
კომპანიას

საჯარო სექტორის უწყებებზე უსასყიდლოდ გადაცემულია 5,026,468 ლარის საბალანსო ღირებულების 2,063 ერთეული ტექნიკა.⁶²

შედეგად, ქონების რეალიზაციის პროცესი და მიდგომა გაუმჭვირვალეა, რაც გასხვისების პროცესის ნაკლოვანებებზე მიუთითებს და ხელს უშლის კომპანიის შემოსავლების და ხარჯების ოპტიმიზაციას.

სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიამ მომავალ პერიოდში ბიუჯეტის სწორი დაგეგმვის, დამატებითი შემოსავლის მიღების და პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისათვის მიზანშეწონილია შეიმუშაოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გასხვისების განახლებული კრიტერიუმები და განსაზღვროს რა ტექნიკის რეალიზაცია განხორციელდება წლების მიხედვით.

4. სპეციფიკური აქტივების აღრიცხვისა და ინვენტარიზაციის ნაკლოვანებები

შესწავლილი 9 ორგანიზაციიდან 5 ფლობს⁶³ და აკონტროლებს სპეციფიკურ აქტივებს, რომელთა აღრიცხვის და ინვენტარიზაციის პროცესი რეგულირდება შიდა წესებით და ხარვეზებით ხასიათდება, ასეთი აქტივებია:

- ┐ საბიბლიოთეკო ფონდები;
- ┐ სამუზეუმო ფასეულობები;
- ┐ მიქცეული და განსაკარგავად გადაცემული ქონებები;
- ┐ სახელმწიფო მიწები და შენობები;
- ┐ სახელმწიფო კომპანიებში არსებული წილები;
- ┐ სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან და იჯარით გაცემიდან წარმოქმნილი მოთხოვნები, მათ შორის, დარიცხული პირგასამტეხლოები.

4.1 საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვის ნაკლოვანებები

4.1.1 საბიბლიოთეკო ფონდების ელექტრონული აღრიცხვის ხარვეზები

საბიბლიოთეკო ფონდების ელექტრონული აღრიცხვა ხელმძღვანელობას უზრუნველყოფს მიიღოს სრული და დროული ინფორმაცია ბიბლიოთეკაში დაცული ფონდების შესახებ. ასევე მკითხველებს საშუალებას აძლევს სწრაფად და დისტანციურად მოიძიოს ინფორმაცია ფონდებში დაცული მასალების შესახებ.

საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვის ინსტრუქციის⁶⁴ მიხედვით, აღრიცხვა წარმოებს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯამურად. ეროვნულ ბიბლიოთეკაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინახება 4,546,046 ერთეული ბეჭდურ-აუდიოვიზუალური დოკუმენტები და მიკროფორმები.

მიუხედავად იმისა, რომ აღრიცხვის ინსტრუქცია არ ითვალისწინებს ელექტრონული აღრიცხვის მოთხოვნას, ბიბლიოთეკაში ფონდების აღრიცხვისათვის დანერგილია ელექტრონულ მონაცემთა ინტეგრირებული სისტემა Sierra Innovative, რომელიც არის მრავალფუნქციური პროგრამა და შესაძლებლობას იძლევა ფონდები აღრიცხოს ელექტრონულად, ასევე პროგრამას გააჩნია შესაბამისი ანგარიშების გენერირების საშუალება.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამაში შეყვანილია არსებული საბიბლიოთეკო ფონდების მხოლოდ 10%-მდე მასალა.

დასკვნა

⁶² მათ შორის ფაროსანას წინააღმდეგ საბრძოლველად გადაცემულია 2000 ერთეული 1,974,000 ლარის ღირებულების ტექნიკა.

⁶³ იხ. N2 დანართი.

⁶⁴ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის 2013 წლის 3 ოქტომბრის N17 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

რეკომენდაცია N9

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას:

**4.1.2 საბიბლიოთეკო ფონდების
ბუღალტრული აღრიცხვის
ნაკლოვანებები**

დასკვნა**რეკომენდაცია N10**

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას:

შედეგად, ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და მკითხველი მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს სრულყოფილი და ოპერატიული ინფორმაცია ფონდებში რიცხული აქტივების, მათი მიღების, გასვლის და გადაადგილების შესახებ.

ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების/ჟურნალების და სხვა აქტივების ეფექტური მართვისა და ასევე მკითხველებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ეროვნულმა ბიბლიოთეკამ შეიმუშაოს არსებული საბიბლიოთეკო ფონდების ელექტრონულ პროგრამაში შეყვანის/აღრიცხვის გეგმა. მიზანშეწონილია აღრიცხვის ინსტრუქციაში გათვალისწინებული იყოს საბიბლიოთეკო ფონდების ელექტრონული აღრიცხვის ტექნიკური საკითხებიც.

ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის⁶⁵ მიხედვით, საბიბლიოთეკო ფონდები ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აღირიცხოს, როგორც ძირითადი საშუალებები.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში ფონდების შევსება ხორციელდება შემენილი, შემოწირული, ნაჩუქარ და სავალდებულო ეგზემპლარს დაქვემდებარებული აქტივების სხვადასხვა ფონდში ჩარიცხვის გზით. ნაჩუქარი და სავალდებულო ეგზემპლარს დაქვემდებარებული აქტივების ბალანსზე აღრიცხვა ხორციელდება ჯამური ღირებულებით - მათი შეფასების შემდეგ შემფასებელი კომისიის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ხოლო ძველი ფულადი ეკვივალენტებით გამოსახული აქტივების აღრიცხვა, გადაფასების კომისიის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, მათი ლარის ეკვივალენტში გადაანგარიშების შედეგად.

ვინაიდან ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო ფონდების ძირითადი ნაწილი შევსებულია ადრეულ პერიოდში და მათი შეფასების/გადაფასების პროცედურები არ არის დასრულებული, ეროვნული ბიბლიოთეკის ფინანსურ ანგარიშგებასა და ბუღალტრულ ანგარიშგებაში სრულყოფილად არ არის ასახული ეროვნული ბიბლიოთეკის საკუთრებაში არსებული საბიბლიოთეკო ფონდების შესახებ სრული ინფორმაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკის ბუღალტრულ ანგარიშგებაში საბიბლიოთეკო ფონდების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია სინთეზურად და ორგანიზაციის მიერ ვერ ხერხდება ინფორმაციის ანალიზურად, ჩაშლილი სახით წარმოდგენა და აქტივების იდენტიფიცირება.

შედეგად, შეუძლებელია კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში ინვენტარიზაციის პროცედურების დაგეგმვა და ჩატარება.

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის და ინვენტარიზაციის გამარტივების მიზნით, ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ბუღალტრულად აღრიცხოს მის მფლობელობაში არსებული საბიბლიოთეკო ფონდები, მიზანშეწონილია თანხობრივად უკვე აღრიცხული აქტივების ანალიზური აღრიცხვა და იდენტიფიცირება.

⁶⁵ ფინანსთა მინისტრის ბრძანება N429, IPSAS 17 - ძირითადი საშუალებები.

4.1.3 საბიბლიოთეკო ფონდების ინვენტარიზაციის ვადებთან დაკავშირებული ხარვეზები

საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვის ინსტრუქციით, ინვენტარიზაციის პერიოდულობა დამოკიდებულია ფონდის მოცულობაზე, ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის მიხედვით, ინვენტარიზაცია ტარდება ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც.

ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ არ არის დამტკიცებული ნორმატიული დოკუმენტი, სადაც აღნიშნული იქნებოდა ბიბლიოთეკაში არსებული ფონდების ჩამონათვალი, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა ინვენტარიზაციის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.

ბიბლიოთეკაში ჩატარებული ინვენტარიზაცია არ არის შესაბამისობაში აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ფონდების აღრიცხვის ინსტრუქცია შემუშავებულია არსებული პრაქტიკისა და სფეროში მოქმედი რეკომენდაციების გათვალისწინებით. მისი მოთხოვნები ფონდების შემოწმების ვადების საკითხთან დაკავშირებით, წინააღმდეგობაშია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებულ წესთან, რომლის თანახმად, ინვენტარიზაცია უნდა ჩატარდეს ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც, ხოლო საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვის ინსტრუქციით, 1 მილიონ წიგნზე მეტის შემთხვევაში, ინვენტარიზაციის ჩატარების პერიოდულობა 20 - 25 წელიწადს შეადგენს.

დასკვნა

ვინაიდან ეროვნულ ბიბლიოთეკაში არ არის შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც მოცემული იქნებოდა არსებული ფონდების შესახებ ინფორმაცია, განუსაზღვრელია ინვენტარიზაციის ჩატარების პერიოდულობა და ინვენტარიზაციას დაქვემდებარებული აქტივების მოცულობა.

ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ფონდებში აღრიცხული აქტივების ზუსტი ნაშთის, არსებობის დადასტურებისა და ინვენტარიზაციის პროცესის რეგულირებისათვის, შეიმუშაოს და დაამტკიცოს წესი, სადაც განისაზღვრება რა სახის ფონდებს ფლობს ორგანიზაცია. მიზანშეწონილია ერთმანეთთან შესაბამისობაში იყოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული და საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული ინვენტარიზაციის ვადები.

საინვენტარიზაციო კომისიისათვის ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ დადგენილი ინვენტარიზაციის გეგმა, ინვენტარიზაციის ჩატარების და შედეგების განხილვის ვადები, ასევე ინვენტარიზაციის ჩატარების და შემდგომი გადაწყვეტილებების მიღების ინსტრუქცია ზრდის საბიბლიოთეკო ფონდების ინვენტარიზაციის პროცესის ეფექტურობას, უზრუნველყოფს მიღებული შედეგების დოკუმენტირებას და ამარტივებს შემდგომი გადაწყვეტილებების მიღების პროცესს.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის 2005 წლის 5 სექტემბრის N1/23 ბრძანებების საფუძველზე, ბიბლიოთეკაში არსებული საბიბლიოთეკო ფონდების ინვენტარიზაციის მიზნით, შეიქმნა საინვენტარიზაციო კომისია, რომელსაც დაევალა გაწეული საქმიანობის ანგარიში ყოველი თვის ბოლოს წარედგინა საბიბლიოთეკო საბჭოსთვის. ამავე ბრძანებით

რეკომენდაცია N 11

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას:

4.1.4 საბიბლიოთეკო ფონდების ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული ხარვეზები

დასკვნა

რეკომენდაცია N12

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას:

4.2 სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და ინვენტარიზაციის ხარვეზები

4.2.1 სამუზეუმო ექსპონატების აღრიცხვის ნაკლოვანებები

განისაზღვრა კომისიის მუშაობის ვადები,⁶⁶ რომლებიც ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს - 2005 წლიდან დღემდე ვადდებოდა ერთი წლით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საინვენტარიზაციო კომისიის მიერ არ ჩატარებულა საბიბლიოთეკო ფონდების ინვენტარიზაცია აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით გაწერილი მოთხოვნების შესაბამისად.

ინვენტარიზაციის ბრძანებით არ არის განსაზღვრული თუ რომელ ფონდს, განყოფილებას ან შესაბამისი ფორმატის წიგნს უნდა ჩაუტარდეს ინვენტარიზაცია, არ არის შემუშავებული და გაწერილი ინვენტარიზაციის ჩატარების ტექნიკური საკითხები. გაურკვეველია თუ რა მეთოდის გამოყენებით ხდება კომისიის მიერ შესაბამისი ობიექტის შერჩევა და პროცედურების განხორციელება.

საბიბლიოთეკო ფონდებში არსებული აქტივების რეალური ნაშთების დადგენის მიზნით, ეროვნულმა ბიბლიოთეკამ საინვენტარიზაციო კომისიისათვის შეიმუშაოს ინვენტარიზაციის ჩატარების გეგმა, სადაც გაწერილი იქნება ინვენტარიზაციის ჩატარების და შედეგების წარმოდგენის ვადები. აღნიშნული გეგმა თანხვედრაში უნდა იყოს აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრულ ვადებთან.

სამუზეუმო ფასეულობათა ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზები უზრუნველყოფს სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და მართვის მოქნილი, ერთიანი ცენტრალიზებული სისტემის ჩამოყალიბებას, ხელს უწყობს სამუზეუმო ექსპონატების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, შენახვას და პოპულარიზაციას, ზრდის დამთვარიერებლების და საზოგადოების ხელმისაწვდომობას, ამარტივებს ინვენტარიზაციის პროცესს, ასევე საშუალებას იძლევა მომზადდეს სამუზეუმო ფონდის შესახებ სისტემატიზებული მონაცემები და სტატისტიკური ანგარიშები.

სამუზეუმო ფასეულობების აღრიცხვისადმი ამჟამად არსებული მიდგომები და მოქმედი ინსტრუქციები მოძველებულია, ვერ პასუხობენ არსებულ სტანდარტებს და საჭიროებენ განახლებას. მუზეუმის ძირითადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის ფორმებს ამტკიცებს სამინისტრო,⁶⁷ სამუზეუმო ნივთი და კოლექცია განურჩევლად მათი საკუთრებისა, ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო აღრიცხვას.⁶⁸

2016 წელს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის დახმარებით, განათლების სამინისტროს

⁶⁶ 2005 წლის ბრძანებაში პირველი ცვლილება განხორციელდა 2011 წლის 22 სექტემბერს, რომლის თანახმად, სიტყვა ინვენტარიზაცია შეიცვალა აღრიცხვით, ხოლო კომისიას დაევა საბიბლიოთეკო საბჭოსთვის წარედგინა ანგარიში ყოველი თვის ბოლოს. 2016 წლის 31 ოქტომბერს ბრძანების პირველ პუნქტში განხორციელდა ცვლილებები და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით „საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებული საბიბლიოთეკო ფონდების ინვენტარიზაციის მიზნით, შეიქმნა კომისია შემდეგი შემადგენლობით“. აღსანიშნავია, რომ 2011 წლის ცვლილებამდე კომისია იყო მუდმივმოქმედი და ვადები განსაზღვრული არ იყო, ხოლო ცვლილების შედეგად კომისიის მუშაობის ვადები განისაზღვრა ერთი წლით, რომელიც ყოველ მომდევნო წელს დამატებით იზრდებოდა კიდევ ერთი წლით.

⁶⁷ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 ივლისის N3/121 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია, „სამუზეუმო ექსპონატების აღრიცხვისა და დაცვის შესახებ“.

⁶⁸ „მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი.

მიერ შექმნილია „საქართველოს მუზეუმების კოლექციების ერთიანი საინფორმაციო სისტემა“. სისტემას და მის ფუნქციონირებას გააჩნია შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

- J არ არსებობს სამუზეუმო ნივთების სისტემაში აღრიცხვის გეგმა, გაწერილი ორგანიზაციების, რაოდენობებისა და ვადების მითითებით;
- J საქართველოში მოქმედი 315⁶⁹ მუზეუმიდან სისტემაში ჩართულია - 21 (მთლიანი რაოდენობის 6%), რომელთა მიერ სისტემაში სულ დაგენერირებულია, დაახლოებით, 35,000 ექსპონატი⁷⁰, აქედან - 12,399 ხელოვნების სასახლეს ეკუთვნის. საკუთრივ, ხელოვნების სასახლეს ბოლო სტატისტიკური მონაცემებით ერიცხება 720,762 ერთეული ექსპონატი.
- J სისტემაში ასახული ინფორმაცია არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის;⁷¹
- J სისტემაში არ აისახება საქართველოს სამუზეუმო ფონდში შეტანილ ნივთებთან და კოლექციასთან დაკავშირებული ცვლილებები;
- J სისტემას არ გააჩნია სამუზეუმო ექსპონატების გადაადგილების აღრიცხვის ფუნქცია, როგორც ქვეყნის გარეთ, ასევე ქვეყნის შიგნით გადატანის შემთხვევაში;
- J სისტემაში ჯერჯერობით არ არის გაერთიანებული სხვადასხვა სახელმწიფო თეატრსა და სასწავლებელში არსებული მუზეუმები და არ არის დარეგისტრირებული მათ მფლობელობაში არსებული ფასეულობები.

დასკვნა

შედეგად, არ არის უზრუნველყოფილი სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და მართვის მოქნილი, ერთიანი ცენტრალიზებული სისტემა, რაც ხელს უშლის სამუზეუმო ექსპონატების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, შენახვას და პოპულარიზაციას, ართულებს ინვენტარიზაციის პროცესს და ზრდის სამუზეუმო ფასეულობათა დაკარგვის და უკანონო გამოყენების რისკებს.

სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვის, ფონდებში განხორციელებული ცვლილებების და გადაადგილებების ასახვის, ასევე საზოგადოებისათვის ფონდებში დაცული ექსპონატების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ შეიმუშაოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში ფასეულობათა აღრიცხვის წესი, სისტემაში მონაცემთა შეტანის გეგმა, შესაბამისი ორგანიზაციების, რაოდენობებისა და ვადების მითითებით ასევე დაადგინოს სისტემაში არსებული ინფორმაციის გასაჯაროების ვადები.

განათლების სამინისტროს მიერ ინვენტარიზაციის ჩატარების პერიოდულობის განსაზღვრა, მუზეუმების მიერ შედეგების წარდგენის, შემდგომში გასატარებელი ღონისძიებების და მათი ვადების დადგენა უზრუნველყოფს სამუზეუმო ექსპონატების

რეკომენდაცია N13

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს:

4.2.2 სამუზეუმო ექსპონატების ინვენტარიზაციის შედეგებზე გატარებული ღონისძიებების ნაკლოვანებები

⁶⁹ მოიცავს სახელმწიფო და კერძო მუზეუმებს.

⁷⁰ 2020 წლის 15 ივლისის მდგომარეობით

⁷¹ განათლების სამინისტროს განმარტებით, 2021 წლიდან იგეგმება ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობა, ასევე ელექტრონულ სისტემაში ექსპონატების აღრიცხვა შეაფერხა კოვიდ 19 პანდემიის გავრცელებამ.

ინვენტარიზაციის პროცესის ერთიანი სტანდარტის არსებობას. მუზეუმებში არსებული ფონდების და მათი მოცულობების განსაზღვრა კი შესაძლებლობას იძლევა შემუშავებული სტანდარტის მიხედვით დაიგეგმოს და ჩატარდეს ინვენტარიზაციები.

ხელოვნების სასახლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დამტკიცებული დოკუმენტაცია, რომელშიც გაწერილი იქნებოდა არსებული ფონდების ჩამონათვალი.

სამუზეუმო ექსპონატების აღრიცხვის ინსტრუქციით დადგენილია სამუზეუმო ფასეულობების ინვენტარიზაციის ჩატარების ვადები. ინვენტარიზაცია ტარდება:

- ┐ მთავარი მცველის დანიშვნა-გათავისუფლების დროს;
- ┐ ყოველწლიურად, თუ ფონდში 3000-მდე ექსპონატია;
- ┐ თუ ფონდი უფრო დიდია, ინვენტარიზაცია ტარდება დირექტორის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით.⁷²

ხელოვნების სასახლის მიერ ინვენტარიზაციის ჩატარების დამტკიცებული გეგმა ვერ იქნა წარმოდგენილი. 2009 წელს ხელოვნების სასახლეში დაიწყო⁷³ ფონდების აღწერა-ინვენტარიზაციისა და საინვენტარო წიგნებთან შედარების პროცესი, რომელიც დასრულდა 2018 წლის 25 დეკემბერს - 6 ფონდში, ხოლო 2020 წელს - აფიშების ფონდში.⁷⁴

ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად, განათლების სამინისტროს თანხმობით, ჩამოიწერა ადრეულ პერიოდში⁷⁵ დანაკლისად აღიარებული და დაზიანებული ნივთები.⁷⁶

მოქმედი ინსტრუქციით, დანაკლისის აღმოჩენის შემთხვევაში, ინფორმაცია წარედგინება განათლების სამინისტროს, დირექტორის ახსნა-განმარტებითი ბარათით.⁷⁷

დასკვნა

რეკომენდაცია N 14

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ხელოვნების სასახლეს

ამავე ინსტრუქციაში არ არის გათვალისწინებული დანაკლისებთან დაკავშირებით, სამართალდამცავ ორგანოთა მიმართვის საკითხი. შესაბამისად, ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგებზე რეაგირების მიზნით გატარებული ღონისძიებები სრულყოფილად არ განხორციელებულა.

სამუზეუმო ექსპონატების დაცვის და ეფექტური კონტროლის მექანიზმების ჩამოყალიბების მიზნით, მიზანშეწონილია შემუშავდეს ერთიანი სტანდარტი ინვენტარიზაციის ჩატარების პერიოდულობასთან დაკავშირებით, არსებული ჩანაწერი დაზუსტდეს და ინვენტარიზაციის ჩატარების ვადები გაიწეროს ფონდების მიხედვით, ასევე დაკონკრეტდეს დანაკლისებთან დაკავშირებით მხარეთა მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები. ხელოვნების სასახლემ შეიმუშაოს და დამტკიცოს წესი, სადაც განისაზღვრება რა სახის ფონდებს ფლობს ორგანიზაცია.

⁷² „სამუზეუმო ექსპონატების აღრიცხვისა და დაცვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁷³ მიღებული განმარტებით, ინვენტარიზაცია დაიწყო ახალი ხელმძღვანელობის ინიციატივით, რაც მანამდე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჩატარებული არ ყოფილა.

⁷⁴ განათლების სამინისტროს განმარტებით, პროცესის შეფერხება ძირითადად გამოიწვია ფონდების გაერთიანებამ და ეპიდ სიტუაციის გართულებამ.

⁷⁵ მათ შორის, 20-30 წლის უკან და უფრო ადრე, საბჭოთა პერიოდის დროს.

⁷⁶ ძირითადად წიგნები, ფოტოები, დისკები, ფირფიტები, ხელნაწერები და ქანდაკებები.

⁷⁷ „სამუზეუმო ექსპონატების აღრიცხვისა და დაცვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი.

4.2.3 სამხატვრო აკადემიაში

სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვის
ნაკლოვანებები

„სამუზეუმო ექსპონატების აღრიცხვისა და დაცვის შესახებ“ ინსტრუქციის მიხედვით, სამუზეუმო ფონდი ექვემდებარება მკაცრ სახელმწიფო აღრიცხვას. სამუზეუმო ექსპონატების შესახებ ინფორმაცია აღრიცხება საინვენტარო წიგნებში, სადაც ხორციელდება სამეცნიერო რეგისტრაცია, ნამუშევრის შესახებ შეაქვთ ვრცელი აღწერილობა, კლასიფიკაცია და ა.შ.

სამხატვრო აკადემიაში 1928 წელს შექმნილია მუზეუმი, რომელშიც დაცულია სამხატვრო აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა და გამოჩენილი მხატვრების ტილოები, ასევე თიხისა და ფაიფურისგან დამზადებული ნამუშევრები. სამხატვრო აკადემიის ინფორმაციით⁷⁸, მუზეუმის კუთვნილებაშია ხელოვნების სხვადასხვა დარგის მხატვართა 1000-ზე მეტი ნამუშევარი⁷⁹.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სამხატვრო აკადემიის საინვენტარო წიგნებში აღწერილია და ინფორმაცია დამუშავებულია მხოლოდ 625 ექსპონატის შესახებ.⁸⁰

დასკვნა

შედეგად, სამხატვრო აკადემია სრულად არ ფლობს ინფორმაციას მის საკუთრებაში არსებული ექსპონატების შესახებ, რაც ზრდის მათი დაკარგვის ან უკანონო გამოყენების რისკებს.

რეკომენდაცია N15

სსიპ - თბილისის აპოლონ
ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

სამუზეუმო ფასეულობათა სახელმწიფო აღრიცხვისა და საზოგადოებისათვის აკადემიაში დაცული სამუზეუმო ექსპონატების შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდების მიზნით, მიზანშეწონილია აკადემიის ხელმძღვანელობამ საინვენტარო წიგნებში/ელექტრონულ ბაზაში ასახოს მონაცემები, მფლობელობაში არსებული სამუზეუმო ექსპონატების შესახებ, ასევე მიზანშეწონილია შემუშავდეს მონაცემთა შეტანის და ინვენტარიზაციის ჩატარების გეგმები და ვადები.

ინვენტარიზაცია არის კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აქტივების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას და მათ დაცულობას. ინვენტარიზაციისთან დაკავშირებული შიდა სამართლებრივი აქტები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომსახურების სააგენტო ფლობდა 5,894,791 ლარის ღირებულების მიქცეულ და განსაკარგავად გადაცემულ ქონებას, ასევე სააგენტოს აღნიშნული თარიღით ნაშთად ერიცხება შეუფასებელი/ნულოვანი ღირებულების მქონე 42,419 სხვადასხვა დასახელების საქონელი.

მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 5 მარტის N555⁸¹ ბრძანებით განსაზღვრულია მიქცეული და განსაკარგავად გადაცემული ქონების ინვენტარიზაციის ჩატარების პერიოდულობა სამ წელიწადში ერთხელ,⁸² რაც საჯარო სექტორისთვის განსაზღვრულ 1 წლიან ვადას, მნიშვნელოვნად აღემატება და ვერ უზრუნველყოფს მისიერ

⁷⁸ სამხატვრო აკადემიის ვებ გვერდი: <https://art.edu.ge/acgeo/index.php?do=cat&category=1-6-1>

⁷⁹ განათლების სამინისტროსგან მიღებული განმარტებით, მთლიანობაში სამხატვრო აკადემიის მუზეუმში დაცულია სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის (ფერწერა, გრაფიკა, წიგნის ილუსტრაცია, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ქანდაკება, პლაკატი) 7000-ზე მეტი ნიმუში.

⁸⁰ განათლების სამინისტროსგან მიღებული განმარტებით, აღწერის პროცესის შემაფერხებელი გარემოება აღმოჩნდა დაზიანებული შენობის რესტავრაციის სამუშაოები.

⁸¹ სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონებისა და აგრეთვე განსაკარგავად გადაცემული მოძრავი ქონების მიღებისა და აღრიცხვის ინსტრუქცია.

⁸² მუხლი N7.

დასკვნა

რეკომენდაცია N16

სსიპ - ქონების ეროვნულ სააგენტოს

4.4 ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარსადგენი ინფორმაციის ნაკლოვანებები

კონტროლს აქტივების დაცულობაზე. ასევე ბრძანებით არ არის განსაზღვრული ინვენტარიზაციის ჩატარების ტექნიკური საკითხები და გასაფორმებელი დოკუმენტაცია. შესაბამისად, მომსახურების სააგენტოში ინვენტარიზაციის პროცესი არ არის სისტემატიზებული.

მომსახურების სააგენტოში ინვენტარიზაციის პროცესი არ არის სისტემატიზებული.

მიქცეული და განსაკარგავად გადაცემული ქონების დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია მიქცეული და განსაკარგავად გადაცემული აქტივების კატეგორიზაცია. მაღალი ღირებულების, საწყობს გარეთ განთავსებულ აქტივებს და მაღალი რისკის შემცველ აქტივებს ჩაუტარდეს ინვენტარიზაცია ყოველწლიურად/უფრო ხშირი პერიოდულობით, ხოლო დანარჩენ აქტივებზე, დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, შემუშავდეს ინსტრუქცია და ყოველწლიურად ჩატარდეს შერჩევითი ინვენტარიზაცია. მიზანშეწონილია ფინანსთა მინისტრის ბრძანებასა და შიდა ინსტრუქციაში არსებული შეუსაბამოების აღმოფხვრა.

ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად უნდა წარადგენდეს ერთეულის ფინანსურ მდგომარეობას, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების ნაკადებს. სამართლიანი წარდგენა მოითხოვს ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების ასახვას აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებებისა და აღიარების კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრულია სსბასს-ებით და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით.

ქონების ეროვნული სააგენტო

კანონმდებლობით, სახელმწიფო ქონების მართვას და განკარგვას, დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში, ახორციელებს ქონების ეროვნული სააგენტო,⁸³ რომლის ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღირიცხება მის განკარგვაში არსებული სახელმწიფო მიწები და შენობები.

ქვემოთ მოცემულ N4 ცხრილში წარმოდგენილია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო მფლობელობაში არსებული ქონების შესახებ ინფორმაცია:⁸⁴

N4 ცხრილი

დასახელება	რაოდენობა	ფართობი (ჰა)
სასოფლო-სამეურნეო მიწა	125,737	800,861
არასასოფლო-სამეურნეო მიწა	41,555	217,210

ვინაიდან ქონების ეროვნული სააგენტო წარმოადგენს არაფინანსური აქტივების მესაკუთრის – სახელმწიფოს უფლებამოსილების განმახორციელებელ სახელმწიფო ორგანოს, ვალდებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის N108 ბრძანების მიხედვით,⁸⁵ აღრიცხოს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული არაფინანსური აქტივებით განხორციელებული ყველა ოპერაცია, მათ შორის, ქონების საკუთრებაში მიღება, პრივატიზება, სარგებლობაში გადაცემა და სხვ.

⁸³ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონი, მუხლი 1, პუნქტი 6.

⁸⁴ ქონების სააგენტოსაგან მიღებული ინფორმაციით

⁸⁵ სსბასს 12 - მატერიალური მარაგები, სსბასს 16 - საინვესტიციო ქონება, სსბასს- 17 ძირითადი საშუალებები, სსბასს 13 - იჯარა.

ქონების ეროვნული სააგენტო „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 43-ე მუხლის⁸⁶ შესაბამისად, ასრულებს სახელმწიფო კომპანიების პარტნიორის (აქციონერის) უფლებამოსილებებს.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქონების ეროვნული სააგენტო⁸⁷ წილს ფლობდა 94 საწარმოში, რაც წარმოდგენილია N5 ცხრილში:

N5 ცხრილი

პროცენტი	რაოდენობა
100%	49
50%-დან 100%-მდე	25
50% ნაკლები	20

ქონების ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „აქციები და სხვა კაპიტალის“ ნაშთი 529,187,906 ლარია, რაც მოიცავს სააგენტოს მართვაში მყოფი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კომპანიების კაპიტალში განხორციელებულ მხოლოდ ფულად შენატანებს. ფულადი შენატანების გარდა, ქონების ეროვნული სააგენტო ახორციელებს სახელმწიფო კომპანიებში ქონებრივ და წილობრივ შენატანებს. კომპანიების კაპიტალში ქონებრივი და წილობრივი შენატანების და შემცირებების შესახებ ინფორმაცია⁸⁸ 2016, 2017, 2018 და 2019 წლების მიხედვით წარმოდგენილია N6 და N7 ცხრილებში.⁸⁹

N6 ცხრილი

ქონებრივი			
წელი	შეტანა	შემცირება	სულ:
2016	180,699,673	1,554,233	179,145,440
2017	52,749,044	24,268,106	28,480,938
2018	40,776,362	31,535,092	9,241,270
2019	59,420,574	41,202,929	18,217,645
სულ:	333,645,653	98,560,360	235,085,293

N7 ცხრილი

წილობრივი			
წელი	შეტანა	შემცირება	სულ:
2016	16,103,075	-	16,103,075
2017	5,769,871	96,000	5,673,871
2018	16,963,485	-	16,963,485
2019	453,627,977	110,754,179	342,873,798
სულ:	492,464,408	110,850,179	381,614,229

ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული არც ქონებრივი, არც წილობრივი ტიპის შენატანები და შემცირებები არ არის ასახული სააგენტოს ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში.

⁸⁶ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს პარტნიორის (აქციონერის) უფლებამოსილებებს ახორციელებს ქონების მმართველი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს კაპიტალში სახელმწიფო ქონების, მათ შორის, წილებისა და აქციების, ასევე ფულადი შენატანის (შენატანების) განხორციელების შესახებ.

⁸⁷ ქონების სააგენტოს სახელმწიფო საწარმოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული მონაცემებით

⁸⁸ ქონების სააგენტოს სახელმწიფო საწარმოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული მონაცემებით

⁸⁹ არ მოიცავს ინფორმაციას საპარტნიორო ფონდში არსებული შენატანების და შემცირებების შესახებ.

დასკვნა

ქონების ეროვნული სააგენტო „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის მიხედვით, სახელმწიფო ქონებებს გასცემს იჯარით ან ახორციელებს ქონების პრივატიზაციას. ქონების ეროვნული სააგენტოს დაფინანსების წესის მიხედვით, მიღებული თანხებიდან 7% წარმოადგენს ქონების ეროვნული სააგენტოს წილს, დანარჩენი კი ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, ამიტომ სააგენტო ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხავს წარმოქმნილი მოთხოვნების მხოლოდ 7%-ს. შედეგად, დანარჩენი 93% არც ეკონომიკის სამინისტროს კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და არც სახელმწიფოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება.

ქონების ეროვნულ სააგენტოში ანალოგიური მიდგომაა ჩამოყალიბებული გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში სხვადასხვა კომპანიაზე დარიცხულ პირგასამტეხლოებთან დაკავშირებით. დარიცხული პირგასამტეხლოები არ აღირიცხება სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში

იმის გამო, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღრიცხულა სახელმწიფო მიწები, შენობები და ფინანსური აქტივები, არ ხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ინვენტარიზაციის პროცედურების ჩატარება აღნიშნულ აქტივებზე, ხოლო სახელმწიფო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არასამართლიანად ასახავს სახელმწიფო აქტივების შესახებ ინფორმაციას.

სახელმწიფო სამშენებლო კომპანია

სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის ბალანსზე, მოკლევადიანი აქტივების ანგარიშზე აღრიცხულია სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე განხორციელებული მშენებლობები/სამუშაოები.⁹⁰ კომპანიის მიერ აღნიშნულ პროექტებზე სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, მაგრამ კომპანიის არაერთგზის მცდელობის მიუხედავად,⁹¹ მათი ჩაბარება და ბალანსიდან მოხსნა/ჩამოწერა არ განხორციელებულა. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების მიხედვით, ასეთი აქტივების ღირებულება შეადგენდა 41,955,826 ლარს.⁹²

დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე რიცხული მოკლევადიანი აქტივები, 41,955,826 ლარის ღირებულებით, ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, ვინაიდან კომპანიას არ გააჩნია მათზე კონტროლი, ასევე მათგან ვერ მიიღება რაიმე სახის ეკონომიკური სარგებელი, შედეგად, აღნიშნული თანხით სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის ფინანსური ანგარიშგება უზუსტოდაა წარდგენილი.

დასკვნა

ყველა ზემოაღწერილი საკითხი მოწმობს, რომ სახელმწიფოს ნაერთი ფინანსური ანგარიშგება ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის სამართლიან წარდგენას, ვინაიდან არსებითი ოდენობის აქტივი და ვალდებულება საჭიროებს ზუსტ და დროულ აღრიცხვას.

⁹⁰ რომლებიც წარმოადგენს ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებსა და საერთო დანიშნულების გზებზე სტიქიური მოვლენის დროს გაწმენდით და სალიკვიდაციო სამუშაოებზე გაწეულ ხარჯებს.

⁹¹ შესაბამის მუნიციპალიტეტებთან წერილობითი კომუნიკაცია, ასევე პარტნიორ სამინისტროსთან თხოვნის წერილები.

⁹² მათ შორის, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში მშენებარე საავადმყოფო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 33,212,405 ლარი.

რეკომენდაცია N17

საქართველოს ფინანსთა და
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტროებს

4.5 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნამუშევარი დროის და გადაადგილების აღრიცხვის კონტროლის სისტემები

სახელმწიფოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია შემუშავდეს მოთხოვნების და პირგასამტეხლობის, სახელმწიფო ქონების და სახელმწიფო კომპანიებში განხორციელებული არაფულადი შენატანების სააღრიცხვო პოლიტიკა, განისაზღვროს სახელმწიფო ქონების შეფასების საკითხები და ჩატარდეს აქტივების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. საჭიროა დადგინდეს უწყებები, სადაც მიღებული შედეგები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება.

ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ვალდებულია დანერგოს ადეკვატური კონტროლის მექანიზმები, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს მისაღები შემოსავლების შესაძლო დანაკარგები, ტექნიკის არამიზნობრივი/არაეფექტური გამოყენების რისკები. ასევე ტექნიკა-იმპლემენტების ადგილმდებარეობის/გადაადგილების აღრიცხვა და მიმდინარე რეჟიმში ინფორმაციის მიღება ხელმძღვანელობას ეხმარება ტექნიკის სწორ მობილიზებასა და შემოსავლების ზუსტ დაგეგმვაში.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია ფლობდა 489 ტრაქტორს, 129 კომბაინს, 4,685 აგრეგატს.

კომპანიას 2020 წელს 413 თვითმავალი ტექნიკიდან GPS მოწყობილობა დამონტაჟებული აქვს 357 ერთეულზე.

ხელშეკრულების მიხედვით, დაყენებული GPS მოწყობილობები თვითმავალ ტექნიკაზე კომპანიას უზრუნველყოფს შემდეგი ინფორმაციით:

-)/ კონკრეტული მომენტისთვის ადგილმდებარეობის;
-)/ გადაადგილების ისტორიის;
-)/ დროის ნებისმიერ მონაკვეთში განვლილი მანძილის;
-)/ სიჩქარის;
-)/ გაჩერების;
-)/ დგომის დროისა და მარშრუტის შესახებ.

ორგანიზაცია ფლობს ასევე კომპიუტერულ პროგრამას,⁹³ რომლის საშუალებითაც მიმდინარე/ონლაინრეჟიმში გენერირდება ინფორმაცია სერვისის მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების/მონაცემების თაობაზე.

კომპანიაში ფუნქციონირებს „ტექნიკური კონტროლისა და შიდა აუდიტის“ დეპარტამენტი, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ტექნიკის საქმიანობის პირდაპირ რეჟიმში GPS-ის საშუალებით შემოწმება. აღნიშნული დეპარტამენტისათვის 2020 წლის 27 ივლისამდე არ იყო შემუშავებული პოლიტიკა და შესრულებული სამუშაოს დოკუმენტირების პროცედურები.

სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიის გენერალური დირექტორის ბრძანებებით,⁹⁴ შემუშავებულია GPS მონიტორინგით გაწეული სამუშაოს ანგარიშგების და ტრაქტორებისა და კომბაინების მოტო-საათების მონაცემების ყველა სერვისცენტრის

⁹³ 2020 წლის 31 იანვრის ხელშეკრულებით შესყიდული აქვს კომპიუტერული პროგრამა შპს „ეფემჯი სოფტისგან“.

⁹⁴ 2020 წლის 17 იანვრის N2 და 2020 წლის 27 ივლისის N74 ბრძანებები.

დასკვნა**რეკომენდაცია N18**

**შპს „სოფლის მეურნეობის
ლოჯისტიკის და სერვისების
კომპანია“**

**4.6 მედიკამენტების და სხვა მარაგების
ინვენტარიზაციის ნაკლოვანებები**

დასკვნა**რეკომენდაცია N19**

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრ“

მიერ სათაო ოფისისათვის გადაცემის წესები, რომლებიც საჭიროებენ დახვეწას.⁹⁵

აღსანიშნავია ასევე, რომ დეპარტამენტის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები ზოგადია და არ იძლევა დეტალურ მითითებებს შესასრულებელ პროცედურებზე.

შედეგად, GPS მონიტორინგის პროცესი არ იძლევა საწარმოს საკუთრებაში არსებული ტექნიკის გამოყენების სრულყოფილი ანალიზის საშუალებას. ხოლო ანგარიშგების არსებული წესები, სრულად ვერ უზრუნველყოფს ტექნიკა-იმპლემენტების არასათანადო გამოყენების ფაქტების გამოვლენას.

სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიამ, მისაღები შემოსავლების შესაძლო დანაკარგების შემცირების და ტექნიკის არამიზნობრივი/არაეფექტური გამოყენების თავიდან აცილებისთვის მიზანშეწონილია შემუშავებული GPS მონიტორინგით გაწეული სამუშაოს ანგარიშგების წესსა და სამუშაო აღწერილობებში დეტალურად გაიწეროს თანამშრომელთა განსახორციელებელი საქმიანობების ეტაპები და პროცედურები.

პერიოდული ინვენტარიზაცია უზრუნველყოფს მედიკამენტების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას და შენახვის/დაცვის წესების შემოწმებას. საინვენტარო აღწერისას ინვენტარიზაციის ჯგუფის ისე დაკომპლექტება, რომ მასში მატერიალურად პასუხისმგებელი პირები არ მონაწილეობდნენ, ინვენტარიზაციის პროცესს და მიღებულ შედეგებს უფრო სანდოს ხდის.

რეგიონული ჯანდაცვის ცენტრში 2015 წლიდან დანერგილია სამედიცინო კომპიუტერული პროგრამა Accuracy Med. პროგრამის საშუალებით ხორციელდება მედიკამენტების მოძრაობისა და ნაშთების შესახებ შესაბამისი ანგარიშების ამოღება ყოველი თვის ბოლოს.

მიღებული განმარტებით, ნაშთების აღწერა და დამოწმება ორგანიზაციაში ხორციელდება ყოველი კალენდარული თვის ბოლოს, თავად მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიერ, რომელიც ხელმოწერილი დოკუმენტების სახით იგზავნება სათაო ოფისში. ცენტრის განმარტებით, პასუხისმგებელ პირებად მიიჩნევიან კლინიკური მენეჯერი, მთავარი ექთანი, აღრიცხვა-ანგარიშგების მენეჯერი, რეგისტრატორი და ა.შ.

ფასეულობებზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიერ აქტივების აღწერა და ყოველთვიური ანგარიშგების წარმოდგენა ხასიათდება საიმედოობის დაბალი დონით და ვერ უზრუნველყოფს აქტივების ზუსტი ნაშთის და არსებობის დადასტურებისათვის სათანადო კონტროლს.

მედიკამენტების და მარაგების ნაშთების არსებობის დადასტურების, შენახვის/დაცვის წესების შემოწმების მიზნით, რეგიონულმა ჯანდაცვის ცენტრმა შეიმუშაოს აქტივების ინვენტარიზაციის

⁹⁵ კერძოდ, N74 ბრძანების დანართი არ მოიცავს გამოვლენილი სხვაობების გამომწვევი მიზეზების და შესაბამისი დასაბუთებების ანგარიშგების საკითხს, გაურკვეველი რჩება რა პროცედურებით ხორციელდება რეალურად ჩატარებული სამუშაოების გადამოწმება, მათ შორის GPS-ის მონაცემების საშუალებით ტრაქტორების და კომბაინების ნამუშევარი მოტო-საათების და ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შედარების პროცედურები

4.7 სპეციფიკურ ფასეულობათა მოვლა-შენახვის ნაკლოვანებები

რეკომენდაცია N20

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას:

აუდიტორები

გიორგი ჭოლოკავა
უფროსი აუდიტორი

ნესტან ჯანელიძე
უფროსი აუდიტორი

პაპუნა ხოფერია
უფროსი აუდიტორი

თეიმურაზ გოდუაძე
აუდიტორი

გიორგი მურვანიძე
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

ხელმოწერა

⁹⁶ 2010 წლის 17 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება N385 „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“.

⁹⁷ „სამუზეუმო ექსპონატების აღრიცხვისა და დაცვის შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 ივლისის N3/121 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

⁹⁸ The International Federation of Library Associations and Institutions (IFLA).

⁹⁹ PRINCIPLES FOR THE CARE AND HANDLING OF LIBRARY MATERIAL.

დანართები

დანართი N1

არაფინანსური აქტივების საინვენტარო აღწერის დოკუმენტი

N	ანგარ იშის ნომერ ი	ფასეულ ობათა დასახელ ება	*სარეგისტრაციო დოკუმენტი			საინვე ნტა- რიზაც იო ნომერ ი	ადგილმდებ არეობა	მატერიალ ურ. პასუხისმგ ებელი პირი	ზომის ერთე ული	ფას ი, ლა რი	ფაქტობრივი ოდენობა		ფაქტობრივი მდგომარეობა (კი/არა)			კომენ ტარი
			დასახე ლება	თარ ილი	ნომე რი						რაოდ ნობა	თან ხა, ლა რი	ეკონომი კური სარგებე ლი	შენახვის/ დაცვის პირობები	ექსპლუატ აციის წესები	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15		

* ივსება არამატერიალური აქტივის შემთხვევაში

დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების საინვენტარო აღწერა

საბუღალტრო ანგარიში ს ნომერი	დებიტორის/კრედიტორის დასახელება	თანხა	შედარების აქტის ნომერი/ნაშთის დადასტურებაზე გაგზავნილი წერილის ნომერი	შედარების აქტის გაუფორმებლობის ან ნაშთის დაუდასტურებლობის შემთხვევაში							
				იმეზნება თუ არა დოკუმენტი, რომლითაც გაგზავნილი წერილის ნომერი	ანგარიშზე რიცხული ნაშთის წარმოშობის საფუძველი აკმაყოფილებს თუ არა აქტივის/ რიცხული დავალიანების სისწორე	სააღრიცხვო ფორმებში/რეგისტრებში არსებული ჩანაწერებით არის თუ არა შესაძლებელი ზუსტად და საიმედოდ კონტრაგენტების იდენტიფიცირება და დადგენა	როგორია რესურსების მიღების/გადინების ალბათობა: დაბალი -50%-ზე ნაკლები ან მაღალი -50% და მეტი	როგორია მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადებთან მიმართებაში ანალიზის შედეგები	სხვა ფაქტორები , რომლებიც ორგანიზაციის სპეციფიკას თან არის დაკავშირებული	ექვემდებარება თუ არა თანხა ჩამოწერას	კომენტარი

საინვენტარო აღწერა მოთხოვნების ანგარიშზე რიცხული დანაკლისების შესახებ

ანგარიშის ნომერი	დანაკლისის წარმოქმნის თარიღი	თანხა	დანაკლისის მოკლე აღწერა	დამნაშავე პირი, არსებობის შემთხვევაში	დანაკლისის აღმოჩენისას სამართალდამცავი ორგანოებისათვის გაგზავნილი წერილი	მიმდინარე ინვენტარიზაციის პერიოდში სამართალდამცავი ორგანოებისათვის გაგზავნილი წერილი საქმისწარმოების მიმდინარეობის შესახებ	მიღებული პასუხის წერილის ნომერი	ექვემდებარება თუ არა ჩამოწერას	კომენტარი
---------------------	------------------------------------	-------	-------------------------------	--	---	--	------------------------------------	--------------------------------------	-----------

ძირითადი საშუალებების ჩამოწერისას შესავსები დოკუმენტაცია

ანგარიშის ნომერი	აქტივის დასახელება	აქტივის ნარჩენი ღირებულება	აქტივის ჩამოწერის მიზეზი და საფუძველი	საექსპერტო/აუდიტორ ული დასკვნის ნომერი	აქტივის ჩამოწერის შედეგები						
					ხარჯი		სარგებელი				
					დანახარჯების ჩამონათვალი (აქტივის განადგურების დანახარჯი და ა.შ.)	თანხა (ლარი)	დოკუმენტაციის დასახელება	აქტივის ლიკვიდაციის შედეგად მიღებული აქტივთა სახეები	რაოდენობა	თანხა (ლარი)	დოკუმენტაციის დასახელება

დანართი N2

დასახელება	ფლობს სპეციფიკურ აქტივებს	დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების რეალობა შეფასებულია	ჩატარდა ინვენტარიზაცია
მომსახურების სააგენტო	✓	✗	✓
რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი	✗	✓	✗
ეროვნული ბიბლიოთეკა	✓	✗	✓
ქონების სააგენტო	✓	✗	✓
სამხატვრო აკადემია	✓	✗	✓
სახელმწიფო სამშენებლო კომპანია	✗	✗	✗
თბილსერვის ჯგუფი	✗	✗	✗
ხელოვნების სასახლე	✓	✓	✓
ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია	✗	✓	✗
სულ:	5	3	5

საკონტაქტო ინფორმაცია

**ვებგვერდი და
სოციალური მედია**

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38